სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენი № 1, მარტი, 2019 წ.

# აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა: gaas.georgia@gmail.com ვებ-გვერდი: http//:gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51 ტ. 291 03 90

*ხვალე არ ეუნდა ჰგავდეს დღეგანდელს, თუ კაცს პროგრესი,*
*წინსვლა ადამიანისა ფეხჩ სიტყვად არ მიაჩნია.*

*ილია ჭავჭავაძე*

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

*გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიის პრეზიდიუმის სხდომებზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.*

*ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შეუძლება აკადემიის პრეზიდიუმის მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.*

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

აკადემიის საერთო კრება, აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე

2019 წლის 28 თებერვალს გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, სადაც მოსმენილი იქნა აკადემიის პრეზიდენტის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

საერთო კრებას აკადემიის წევრების გარდა ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, ამავე აკადემიის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ოთარ ნათიშვილი, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია, აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი ივერი ახალბედაშვილი, სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, დოქტ. ლევან უჯმაჯურიძე და ცენტრის თანამშრომელები, აკადემიის დარგობრივი კოორდინატორები და სხვა.

საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკად. გიორგი კვესიტაძე

კრების დასაწყისში აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ აკადემიის დიპლომები გადასცა 2018 წლის აგრარული მიმართულების ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომების ავტორებს - აკადემიის პრემიის ლაურეატებს.

თავის საანგარიშო მოხსენებაში აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ დეტალურად განიხილა აკადემიის განვლილი წლის საქმიანობა, მიმოიხილა აკადემიის თანამშრომლობა საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო ორგანიზაციებთან, აკადემიის სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული საკითხების შესრულების მდგომარეობა, აკადემიის წარმატებები საგამომცემლო და სხვა საქმიანობაში და ისაუბრა აკადემიის სამომავლო გეგმებზე და პერსპექტივებზე.

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია

შემდეგ საანგარიშო გამოსვლები ჰქონდათ აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნებს - აკადემიკოსებს გ. მარგველაშვილს, ჯ. გუგუშვილს, რ. მახარობლიძეს, ო. ქეშელაშვილს, ზ. ცქიტიშვილს და აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს აკად. გივი ჯაფარიძეს.

აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ და საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ.

აკადემიის საერთო კრებამ აკადემიის 2018 წლის სამეცნიერო საქმიანობა შეაფასა დადებითად.

აკადემიის საერთო კრებაზე განხილული იქნა სხვა მიმდინარე საკითხებიც, რომელიც აკადემიის წარმატებული საქმიანობისათვის არის მიზანშეწონილი.

# სამეცნიერო ფორუმი - მეცნიერების განვითარების პერსპექტივები საქართველოში

2019 წლის 29 მარტს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ ჩატარდა სამეცნიერო ფორუმი „მეცნიერების განვითარების პერსპექტივები საქართველოში“, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. ფორუმი ჩატარდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ხოლო ფორუმის მასპინძელი და ორგანიზატორი იყო შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

2018 წლის სექტემბერში, იყალთოს სამონასტრო კომპლექსში, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა - მიხეილ ბატიაშვილმა განათლების რეფორმის პრეზენტაცია წარადგინა.

აღნიშნული რეფორმა გულისხმობს კომპლექსურ მიდგომას განათლების ყველა მიმართულებისათვის - სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება და მეცნიერება. რეფორმა განათლების ერთიანი სისტემის ტრანსფორმაციას უზრუნველყოფს.

მდგრადი განვითარების მთავარ პრიორიტეტად მეცნიერება დასახელდა. განათლების რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მეცნიერთა და ზოგადად, სამეცნიერო მიმართულებების განვითარება და ხელშეწყობა, რაც გულისხმობს, ერთის მხრივ, სტრატეგიული სამეცნიერო პროექტების განსაზღვრასა და მხარდაჭერას, ხოლო მეორეს მხრივ, ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა ხელშეწყობასა და მათი ჩართულობის სტიმულირებას საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მიღწევა მოითხოვს აქტიურ კომუნიკაციას. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ჩაატარა სამეცნიერო ფორუმი - „მეცნიერების განვითარების პერსპექტივები საქართველოში“. ფორუმის მიზანი იყო საქართველოში მეცნიერების არსებული მდგომარეობის, გამოწვევების, სამომავლო პერსპექტივების მიმოხილვა და სამეცნიერო სფეროში ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტების განსაზღვრა. ფორუმს ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ასევე დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**ფორუმი გახსნა** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **მიხეილ ბატიაშვილი და** საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ **მარიამ ჯაშმა.**

**მოხსენებები წარმოადგინეს:** „განათლების

რეფორმა - გამოწვევები და პერსპექტივები“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ **ირინა აბულაძემ; „მეცნიერების განვითარება - რეფორმები ახალი სისტემის შესაქმნელად“** შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა **ზვიად გაბისონიამ;** მეცნიერების განვითარების პერსპექტივები - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **როინ მეტრეველმა;** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **გურამ ალექსიძემ;** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **გიორგი შარვაშიძემ;** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ **ზურაბ გასიტაშვილმა;** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **გიგა ზედანიამ;** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **ზურაბ ხონელიძემ.**

პარალელურ რეჟიმში გაიმართა პანელური სხდომა 6 სამეცნიერო მიმართულებაში. თითოეულ პანელს ჰყავდა მოდერატორი, პანელების მონაწილეები იყვნენ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლები.

**I. პანელი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი**
**II. ინჟინერია და ტექნოლოგიები**
**III. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებანი**
**IV. აგრარული მეცნიერებანი**
**V. სოციალური მეცნიერებანი**
**VI. ჰუმანიტარული და ქართველოლოგიური მეცნიერებანი**

## აკადემიის მიერ
## 2018 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2019 წლის 25 იანვარს მოისმინა მოხსენება: „აკადემიის მიერ 2018 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ“ მომხსენებლები: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

აღინიშნა. რომ გასული 2018 წელი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისათვის წარმატებულ წლად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ამ წელს ჩატარდა მრავალი ღირსშესანიშნავი ღონისძიება, სამეცნიერო კონფერენცია, სემინარი, მრგვალი მაგიდა, ექსპედიცია, სხვადასხვა დონის შეხვედრა და ა.შ.

2018 წელს 31 დეკემბრისათვის აკადემიის შემადგენლობაში იყო აკადემიის 30 ნამდვილი წევრი, აკადემიის 3 წევრ–კორესპონდენტი და 2 საპატიო აკადემიკოსი (საქართველოს პატრიარქი ილია II და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თენგიზ ურუშაძე). სამწუხაროდ, გასულ წელს აკადემიის შემადგენლობას გამოაკლდა აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე.

აკადემიაში საქმიანობა მიმდინარეობდა აკადემიური საბჭოს (პრეზიდიუმის) მიერ დამტკიცებული 2018 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის მიხედვით. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობა განსაზღვრულია 19 წევრით და იგი მუშაობდა ზემოაღნიშნული სამუშაო გეგმის მიხედვით, კერძოდ მისი მუშაობა იყო ნაყოფიერი, ვინაიდან სულ ჩატარებულია 17 სხდომა, სადაც განხილული იყო 90 საკითხი აგრარული მეცნიერების და სამეცნიერო კვლევების მრავალ საკითხზე, აგრარულ საგანმანათლებლო სისტემებზე, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა აქტუალურ თემებზე.

2018 წელს აკადემიაში ჩატარდა ორი საერ-

თო კრება. პირველი ჩატარდა 2018 წლის 28 თებერვალს და ძირითადად მიეძღვნა აკადემიის 2017 წელს გაწეულ საქმიანობას, ხოლო მეორე კრება ჩატარდა 2018 წლის 28 მარტს, სადაც არჩეული იქნა აკადემიის პრეზიდენტი.

2018 წელს აკადემიას მჭიდრო სამეცნიერო კავშირი ჰქონდა საერთაშორისო სამეცნიერო სტრუქტურებთან, მონაწილეობდა 8 საერთაშორისო კონფერენციაში, სიმპოზიუმებში და კონგრესებში.

2018 წელს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს პარლამენტის აპარატთან.

2018 წელს აკადემიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო მეცნიერებისა და ინოვაციების 2018 წლის ფესტივალში. გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: "საქართველოში მეცხოველეობისა და ვეტერინარიის არსებული მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები" და ჩატარდა ორი საჯარო ლექცია. ხოლო 2018 წლის 05 დეკემბერს გაიმართა ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

ხშირად იმართებოდა სამეცნიერო განყოფილებების გაერთიანებული სხდომები, ჩატარდა 11 სემინარი და 6 მრგვალი მაგიდა აგრარული მიმართულების სხვადასხვა საკითხებზე.

ნაყოფიერად იმუშავეს აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებმა, ამის შესახებ აკადემიკოს –მდივნები მოგახსენებენ თავიანთ გამოსვლებში.

აკადემიაში წარმატებით ფუნქციონირებს აგრარული მიმართულებების კოორდინატორების ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებს 200-მდე მეცნიერს და მათ შორის 57 ქალბატონს.

ნაყოფიერი იყო აკადემიის წევრების საქმიანობაც. მათ მიერ 2018 წელს გამოიცა 236 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 15 მონოგრაფია, 9 სახელმძღვანელო, 212 სამეცნიერო სტატია, გამოიცა 24 რეკომენდაცია და 20-მდე ბროშურა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს საქართველოს პარლამენტმა შეიტანა ცვლილება კანონში და 2019 წელს მოხდება აკადემიის რიგების შევსება აკადემიის 7 სტიპენდიანტით.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2018 წელს გამოვლინდნენ 2017 წელს საუკეთესო ნაშრომებისათვის აკადემიის პრემიის ლაურეატები აკადემიის წ/კ თ. თურმანიძე, დოქტორები ვ. და გ. ღლიღვაშვილები, ი. ქუცნაშვილი, დოქტორი ა. გიორგაძე, აკად. ა. დიდებულიძე, დოქტ. მ. კონჯარია და ე. მიდელაშვილი, დოქტ. გ. გრიგორაშვილი, აკად. ზ. ცქიტიშვილი, კ. პობერეჟნა, დოქტორები მ. ლობჟანიძე, მ. ბერუაშვილი, პროფ. გ. გაგოშიძე; აკად. თ. კუნჭულია, შ. კიკალიშვილი, დოქტ. ზ. ბუკია.

## აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების მიერ 2018 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2019 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2019 წლის 25 იანვარს მოისმინა მოხსენება:

**"აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების მიერ 2018 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2019 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ."**

***მომხსენებლები:*** აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი; მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი; აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს–მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე; სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი; სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი; ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი;

**აგრონომიის სამეცნიერო განყოფილება განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი**

**განყოფილების წევრები – აკადემიკოსები: ალექსიძე გურამი, ბაღათურია ნუგზარი, ვასაძე იუზა, კვალიაშვილი ვაჟა, კოპალიანი როლანდი, მარგველაშვილი გოგოლა, ურუშაძე თენგიზი, ჩანქსელიანი ზაური, ჩხარტიშვილი ნოდარი, ცანავა ვალერიანი, ჯაბნიძე რევაზი, თურმანიძე თამაზი, ლიპარტელიანი ოთარი.**

განყოფილებაში 2018 წელს ჩატარდა 10 სხდომა.

**პირველი სხდომა** ჩატარდა **24** იანვარს და განხილული იქნა საკითხები:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობისა და 2018 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ **მომხსენებლები: აკადემიკოს-მდივანი გოგოლა მარგველაშვილი; აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების სწავლული მდივანი რევაზ ლოლიშვილი.**
2. **აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.**

**მეორე სხდომა** ჩატარდა **19 თებერვალს** და

განხილული იქნა შემდეგი საკითხები:
1. 2017 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული თ. თურმანიძის ნაშრომის "კლიმატის ცვლილება და სასურსათო უშიშროება" შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.
2. 2017 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომის თ. თურმანიძის ნაშრომის "კლიმატის ცვლილება და სასურსათო უშიშროება" რეცენზირების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი.
3. ფარული კენჭისყრის შედეგები

**მესამე სხდომა** ჩატარდა **6 მარტს** და განხილული იქნა საკითხები:
1. აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.
2. ინფორმაცია სამეცნიერო-კვლევითი თემის – „საქართველოს ნიადაგური საფარის და მასში ორგანული ნახშირბადის შემცველობის შესწავლა (2კმx2კმ) გამოკვლევის ბადით" (გრანტის ფარგლებში მონაწილეობს NASA) მიმდინარეობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი.
3. აკადემიკოს ვალერიან ცანავას ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.
4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კანდიდატურის წარდგენის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოს-მდივანი გოგოლა მარგველაშვილი.

**მეოთხე სხდომა** ჩატარდა **20 აპრილს** და განხილული იქნა საკითხები:
1. აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნის არჩევნები; **მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობისა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიეო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე. (**ფარული კენჭისყრა**).

**მეხუთე სხდომა** ჩატარდა **23 მაისს** და განხილული იქნა საკითხები:
1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეხილეობის კვლევის სამსახურის 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში. **მომხსენებელი:** მეხილეობის კვლევის სამსახურის უფროსი ზვიად ბობოქაშვილი.
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტანდარტებისა და სერტიფიცირების კვლევის სამსახურის 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში. **მომხსენებელი:** სტანდარტებისა და სერტიფიცირების კვლევის სამსახურის უფროსი თამარ ჯინჯიხაძე.
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მევენახეობის კვლევის სამსახურის 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში. **მომხსენებელი:** მევენახეობის კვლევის სამსახურის უფროსი ლონდა მამასახლისაშვილი.
4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახურის 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში. **მომხსენებელი:** მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი ცოტნე სამადაშვილი.
5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის დეპარტამენტის 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში. **მომხსენებელი:** მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის დეპარტამენტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი შაქრო ყანჩაველი, მანანა კერესელიძე.
6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში. **მომხსენებელი:** ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი იოსებ ბასილაია.

**მეექვსე სხდომა** ჩატარდა **24 მაისს** და განხილული იქნა საკითხები:
1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის **ბიოაგროწარმოების სამსახურის** 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში. **მომხსენებელი: ბიოაგროწარმოების სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, გოჩა წერეთელი.**
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის **მცენარეთა მიროგამრავლებისა (ინვიტრო) და უვირუსო სარგავი მასალის კვლევის სამსახურის** 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში. **მომხსენებელი: მცენარეთა მიროგამრავლებისა (ინვიტრო) და უვირუსო სარგავი მასალის კვლევის სამსახურის უფროსი ლალი მოსიაშვილი.**
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის

**ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების კვლევის სამსახურის** 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში. **მომხსენებელი: ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების კვლევის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ირმა ირემაშვილი.**

4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის **ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის** 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში. **მომხსენებელი: ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი.**

**მეშვიდე სხდომა** ჩატარდა **18 ივნისს** და განხილული იქნა საკითხები:

1. აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილის ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

2. აზოტის იზოტოპის $N^{15}$-ის გამოყენებით სასუქის აზოტის ნიადაგის ორგანულ ნივთიერებაში ჩართვის ინტენსივობის და მდგრადობის შესწავლის შედეგების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ვალერიან ცანავა

**3.** მიმდინარე საკითხები: მოხსენება მიძღვნილი **"გაუდაბნოებასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღისადმი". მომხსენებელი:** აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

**მერვე სხდომა** ჩატარდა **20 ივლისს** და განხილული იქნა საკითხები:

1. სუბტროპიკული მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შესაძლო შეთანაწყობისა და განაშენიანების თანამედროვე მიდგომების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი.

**მეცხრე სხდომა** ჩატარდა **10 ოქტომბრს** და განხილული იქნა საკითხები:

1. აკადემიკოს რეზო ჯაბნიძის ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

2. იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის ჯიშების აგროეკოლოგიური და აგროტექნოლოგიური თავისებურებების, პროდუქტიულობისა და ს/ს ნიშან-თვისებების შესწავლის შედეგების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე.

**მეათე სხდომა** ჩატარდა 2018 წლის 21 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: „აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერების მდგომარეობა თანამედროვე ეტაპზე". მომხსენებელი : დოქტ. რევაზ ლოლიშვილი.

## მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილება

### სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 4 წევრი, 3 აკადემიკოსი და ერთი წევრ-კორესპონდენტი.

**აკადემიკოსები:** ჯემალ გუგუშვილი, თენგიზ ყურაშვილი და გურამ ტყემალაძე. **წევრ-კორესპონდენტი** გიორგი ნიკოლეიშვილი.

**განყოფილებაში 2018 წელს ჩატარდა 12 სხდომა.**

**პირველი სხდომა** ჩატარდა 22 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობისა და 2018 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებლები:** მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი, სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი დოქტორი მარინა ბარვენაშვილი; 2. აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის 2 ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

**მეორე სხდომა იყო გაერთიანებული აგროინჟინერიის განყოფილებასთან ერთად და** ჩატარდა 16 თებერვალს. განხილული იქნა საკითხები: 1. 2017 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომების შესახებ. **მომხსენებელი**: აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი; 2. 2017 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომების რეცენზირების შესახებ. **მომხსენებლები**: სოფლის მეურნეობის დოქტორი თენგიზ ფირცხალაიშვილი; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიული გოგოლი; 3. ფარული კენჭისყრა.

**მესამე სხდომა** ჩატარდა 27 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგებისა და 2018 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებლები:** მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოები მიმართულების ეროვნული კოორდინატორები; 2. აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. სოფლად ვეტერინარიის დონისა და მისი ამაღლების გზების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.

**მეოთხე სხდომა** ჩატარდა 5 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს გურამ ტყემალაძის ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2. საქართველოში შემოყვანილი მეკვერცხული კროსის პროდუქტიულობის მაჩვენებლები. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი თენგიზ ფირცხალაიშვილი; 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კანდიდატურის წარდგენის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი.

**მეხუთე სხდომა** ჩატარდა 19 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: 1. მეცხოველეობის და

ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნის არჩევნები.

**მეექვსე სხდომა** ჩატარდა 11 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის **მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების დეპარტამენტის** 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში. **მომხსენებელი:** მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი რუსუდან ბარკალაია;

2. თუთის აბრეშუმხვევიას გენოფონდის შენარჩუნება და გაუმჯობესება. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი ნარგიზ ბარამიძე.

**მეშვიდე სხდომა** ჩატარდა 20 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. მეცხოველეობაში სანაშენე მუშაობის ორგანიზაციული საკითხებისა და მისი ეფექტურობის შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიული გოგოლი; 2. საქართველოში რთული ნაჯვარი და ადგილობრივი ჯიშის ღორების ჰელმინთოზურ დაავადებათა გავრცელების შესახებ. **მომხსენებელი:** ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შადიმან ფოცხვერია.

**მერვე სხდომა** ჩატარდა 11 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ნედლი ყვავილის მტვრიდან სკის გარეშე ჭეოს მომზადების ტექნოლოგიის შემუშავების შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი გიორგი მაძღარაშვილი; 2. ბაქტერიათა მშთანთქმელი ფაგის შესახებ. **მომხსენებელი:** ვეტრინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ ნათიძე.

**მეცხრე სხდომა** ჩატარდა 21 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხი: მერძეულ პროდუქტიულობაზე სარძევე ჯირკვლების დაავადებების გავლენისა და მათი მკურნალობის შესახებ. **მომხსენებელი:** ვეტერინარიის დოქტორი გიორგი ბუცხრიკიძე.

**მეათე სხდომა** ჩატარდა 17 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ეკოლოგიაზე მეცხოველეობის საწარმოების ფუნქციონირების გავლენის შესახებ.

**მომხსენებლები:** აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მაია კერესელიძე; 2. ბიომეურნეობისა და აგროტურიზმის განვითარების გათვალისწინებით საფუტკრე მეურნეობის განლაგების დაგეგმვის შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი მაია ფეიქრიშვილი.

**მეთერთმეტე სხდომა** ჩატარდა 15 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ძაღლის განვითარების პერიოდიზაციის შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი ნაირა მამუკელაშვილი; 2. ვეტერინარ ექიმთა გაერთიანებული ასოციაციის მუშაობა, მიზნები და ამოცანები. **მომხსენებელი:** ვეტერინარ ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი ლალი ვაშაკიძე.

**მეთორმეტე სხდომა** ჩატარდა 2018 წლის 14 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები:1. საქართველოს ცხოველთა სამყაროს ბიომრავალფეროვნებისა და სამონადირეო ფაუნის შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე;

2. მეცხოველეობაში ლეტალი, სუბლეტალი, სუბვიტალი გენებისა და მათთან ბრძოლის ხერხების შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი.

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში, ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია: **«საქართველოში მეცხოველეობისა და ვეტერინარიის არსებული მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები».** გარდა ამისა ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე: **"საქართველოს წიაღისეული ტორფიდან საკვები საფუარის წარმოების ტექნოლოგია"** (21 სექტემბერი მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი ჯემალ ქიტიაშვილი), ვეტერინარიის ეროვნული კოორდინატორის, აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ორგანიზებით მოეწყო ტრენინგი თემაზე: 1. საქართველოს ცხოველთა სადგომების მდგომარეობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი; 2. ბაქტერიული პრეპარატის გამოყენება ნაკელის (სკორეს) სწრაფი კომპოსტირებისა და გაუსნებოვნებისათვის. **მომხსენებელი:** საწარმო BIO ELEMENTS AGRO-ს დირექტორი ელენე ბოკუჩავა (8 ივნისი). ასევე მოეწყო გასვლითი სემინარი კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკაში თემაზე: **"მეკვერცხული მიმართულების ფრინველის განვითარების პერსპექტივები"** (22 ივნისი) და გასვლითი მრგვალი მაგიდები: 1.**"ცხვრის ზოოტექნიკურ-ვეტერინარული მომსახურეობის შესახებ"** შპს **"ლაშარელა"**-ში (22 ივნისი) და ბიორაციონალური ტექნოლოგიის კვლევით ცენტრში (10 დეკემბერი). ორგანიზატორი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ვეტერინარიის ეროვნული კოორდინატორი თენგიზ ყურაშვილი

**მოეწყო გასვლითი სემინარი კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკაში**

(2018 წლის 22 მაისი, ორგანიზატორი აკადემიის მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილება).

**აბროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილება აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 7 ნამდვილი წევრი - აკადემიკოსი.

**აკადემიკოსები:** მახარობლიძე რევაზი, დიდებულიძე ალექსანდრე, ვაშაკიძე არჩილი, კაციტაძე ჯემალი, შაფაქიძე ელგუჯა, ჭალაგანიძე შოთა (გარდაიცვალა 2018 წლის 25 აგვისტოს), ფუტკარაძე ზაური.

**განყოფილებაში 2018 წელს ჩატარდა 10 სხდომა.**

**პირველი სხდომა** ჩატარდა 24 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2017 წელს

გაწეული მუშაობისა და 2018 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი; 2. აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

**მეორე სხდომა** ჩატარდა გაერთიანებული მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილებასთან 16 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. 2017 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომების შესახებ. **მომხსენებელი**: აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი; 2. 2017 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომების რეცენზირების შესახებ. **მომხსენებლები**: სოფლის მეურნეობის დოქტორი თენგიზ ფირცხალაიშვილი; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიული გოგოლი; ფარული კენჭისყრა.

**მესამე სხდომა** ჩატარდა 23 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: **1.** 2017 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე; 2. 2017 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომების რეცენზირების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე; 3. ფარული კენჭისყრა; 4. აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

**მეოთხე სხდომა** ჩატარდა 6 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის აგროინჟინერიის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგებისა და 2018 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი:** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი ყრუაშვილი; 2. აკადემიკოს არჩილ ვაშაკიძის ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კანდიდატურის წარდგენის შესახებ. **მომხსენებელი**: აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე.

**მეხუთე სხდომა** ჩატარდა 13 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: 1. აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნის არჩევნები.

**მეექვსე სხდომა** ჩატარდა 10 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში. **მომხსენებელი:** აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი ნუგზარ ებანოიძე; **2.** სამეცნიერო კონფერენცია "სამთო მიწათმოქმედების მექანიზაცია, პრობლემები, პერსპექტივები" ჩატარების შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე, აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე.

**მეშვიდე სხდომა ჩატარდა** 27 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ელგუჯა შაფაქიძის ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2. მექანიზაციის განვითარების პრიორიტეტები აჭარაში. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ზაურ ფუტკარაძე.

**მერვე სხდომა** ჩატარდა 22 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხები: 1 საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისა და წარმოების პერსპექტივების შესახებ. **მომხსენებელი:** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა მახარობლიძე, შპს "მექანიზატორის" განყოფილების უფროსი; კალაპოტისა და ნაკადის ურთიერთქმედების თავისებურებების შესახებ. **მომხსენებელი:** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი დავით გუბელაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

**მეცხრე სხდომა** ჩატარდა 26 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის ანგარიში 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. ნიადაგის დაბაზოების წვეთოვანი რწყვის და პლასტიკური მულჩირების ეკოლოგიური და ბიოენერგეტიკული ეფექტურობის ანალიზის შესახებ. **მომხსენებელი:** ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ქარჩავა

**მეათე სხდომა** ჩატარდა 25 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: ბუნებრივი სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის ამაღლების გზები. მომხსენებელი: საგარეჯოს რაიონის საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, ტექნ. მეცნ. კანდიდატი ნიკოლოზ ჯავახიშვილი.

აღსანიშნავია, რომ განყოფილების და სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის დარგობრივი ჯგუფის ორგანიზებით ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე: **"ელექტრონული სწავლება წყლის ინჟინერიაში"**, რომელშიც ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ავსტრიის ვენის ბუნებრივი რესურსების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უნივერსიტეტის (BOKU) პროფესორებმაც.

აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ნიადაგების მსოფლიო დღისადმი ჩატარებულ კონფერენციაში, სადაც აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა რევაზ მახარობლიძემ გააკეთა მოხსენება თემაზე: **"ნიადაგის დამუშავების სამანქანო ტექნოლოგიები".**

### სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილება

**აღნიშნული განყოფილება ჩამოყალიბებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეც-**

**ნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში შეტანილი ცვლილებებისა და ორი განყოფილების "სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების" და "სურსათის უვნებლობის" სამეცნიერო განყოფილებების ოპტიმიზაციის მიზნით გაერთიანების შედეგად. სამეცნიერო განყოფილების ჩამოყალიბების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება თავის სხდომაზე მიიღო აკადემიის პრეზიდიუმმა 2018 წლის 27 აპრილს, ოქმი №8(1). განყოფილების აკადემიკოს-მდივნად არჩეულია აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიების სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 5 წევრი, 5 აკადემიკოსი.

**აკადემიკოსები:** ცქიტიშვილი ზურაბი, გასაძე იუზა, პაპუნიძე გურამი, რევიშვილი თემური, ჩხარტიშვილი ნოდარი.

**განყოფილებაში 2018 წელს ჩატარდა 7 სხდომა.**

**პირველი სხდომა** ჩატარდა 26 იანვარს და განხილული იქნა საკითხები:

1. სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობისა და 2018 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი; 2. აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

**მეორე სხდომა** ჩატარდა 21 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. 2017 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი; 2. 2017 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომების რეცენზირების შესახებ. **მომხსენებელი**: მედიცინის დოქტორი ქეთევან დადიანი; 3. ფარული კენჭისყრა; **4.** აკადემიკოს გურამ პაპუნიძის ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

**მესამე სხდომა** ჩატარდა 17 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: 1. სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნის არჩევნები.

**მეოთხე სხდომა** ჩატარდა 28 მაისს და განხილული იქნა საკითხი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახურის 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახურის უფროსი დავით ჩიჩუა

**მეხუთე სხდომა** ჩატარდა 28 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: 1. სურსათის მეცნიერებებისა და ნუტრიციოლოგიის საბაკალავრო სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები და ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში განსახორციელებელი ცვლილებების ინიცირება. **მომხსენებელი:** მედიცინის დოქტორი, პროფესორი ქეთევან დადიანი;

2. სურსათში ტყვიის რისკის შეფასების საფუძველზე რეკომენდაციების განხილვა. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი ლალი ტაბატაძე.

**მეექვსე სხდომა** ჩატარდა 29 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: სურსათში ანტიბიოტიკების ნაშთებთან ასოცირებული რისკები ადამიანის ჯანმრთელობისათვის. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცანტრის მთავარი სპეციალისტი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი მამუკა კოტეტიშვილი.

**მეშვიდე სხდომა** ჩატარდა 6 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ჩაის ფოთლის კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგიები.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი თემურ რევიშვილი.

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით 13 სექტემბერს აკადემიამ უმასპინძლა ნუტრიციოლოგიაში ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეებს, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 12-13 სექტემბერს თბილისში შემდეგი დევიზით: "ნუტრიციოლოგიისა და ჯანმრთელობის ურთიერთკავშირი თანამედროვე ტენდენციები." გარდა ამისა განყოფილების ორგანიზებით მოეწყო მრგვალი მაგიდა სურსათთან დაკავშირებული რისკების შეფასების საკითხებზე, რომელშიც ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ ბერლინის ფედერალური ინსტიტუტის უმაღლესი მენეჯმენტის წარმომადგენლები: ბატონი ანდრეას ჰენსელი ინსტიტუტის პრეზიდენტი და ბატონი მაგნუს ეგერი - ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი.

### სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილება აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 6 წევრი, 3 აკადემიკოსი, 2 წევრ-კორესპონდენტი და 1 სოფლის მეურნეობის დოქტორი.

**აკადემიკოსები: ჩაგელიშვილი რევაზი, ჯაფარიძე გივი, ჭალაგანიძე შოთა (გარდაიცვალა 2018 წლის 25 აგვისტოს) ალექსიძე გურამი; წევრ-კორესპონდენტები: თურმანიძე თამაზი, ურუშაძე თენგიზი; სოფლის მეურნეობის დოქტორი გიორგაძე ანატოლი.**

**განყოფილებაში 2018 წელს ჩატარდა 5 სხდომა და ერთი მრგვალი მაგიდა**

**პირველი სხდომა** ჩატარდა 25 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1.სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობისა და 2018 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი, სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფი-

ლების სწავლული მდივანი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გაგოშიძე; სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი; 2. აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

**მეორე სხდომა** ჩატარდა 26 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. 2017 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი; 2. 2017 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომის რეცენზირების შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი შაქრო ყანჩაველი; 3. ფარული კენჭისყრა. 4. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია 2017 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

**მესამე სხდომა** ჩატარდა 16 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნის არჩევნები.

**მეოთხე სხდომა** ჩატარდა 21 მაისს და განხილული იქნა საკითხი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში. **მომხსენებელი:** აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ნანა გოგინაშვილი

**მეხუთე სხდომა** ჩატარდა 29 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოში სატყეო პროფესიული და უმაღლესი განათლებისა და მათი განვითარების პერსპექტივების შესახებ. **მომხსენებლები**: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების სწავლული მდივანი, სტუ-ს პროფესორი გიორგი გაგოშიძე;

2. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან მისი კოორდინირებული საქმიანობის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, სატყეო ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი გიორგი ქავთარაძე.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო განყოფილების ორგანიზებით 2018 წლის 21 მარტს ჩატარდა **მრგვალი მაგიდა,** რომელიც მიეძღვნა ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღეს.

სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ნიადაგების მსოფლიო დღისადმი ჩატარებულ კონფერენციაში (2018 წლის 5 დეკემბერი), სადაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი გაგოშიძემ გააკეთა მოხსენება თემაზე:**"აღმოსავლეთ საქართველოს წაბლის ტყის ნიადაგები".**

**ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება**
**განყოფილების წევრები – აკადემიკოსები: ქეშელაშვილი ომარი, ასათიანი რევაზი, კოღუაშვილი პაატა, კუნჭულია თამაზი, ქარქაშაძე ნაპოლეონი, ჭითანავა ნოდარი, ჯაფარიძე გივი და წევრ-კორესპონდენტი ნიკოლეიშვილი გიორგი.**

**განყოფილებაში 2018 წელს ჩატარდა 7 სხდომა-და 1 მრგვალი მაგიდა.**

**პირველი სხდომა** ჩატარდა 2018 წლის **25** იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობისა და 2018 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.
**მოხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ომარ ქეშელაშვილი, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი დოქტორი რ. ლოლიშვილი.
2. მიმდინარე საკითხები.

**მეორე სხდომა** ჩატარდა **27** თებერვალს და განხილული იქნა საკითხები:
1. 2017 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული თ. კუნჭულიას, შ. კიკალიშვილის და ზ. ბუკიას ნაშრომის «ქართული მეჩაიეობა (უახლესი წარსული)» შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.
2. 2017 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული შემოსული თ. კუნჭულიას, შ. კიკალიშვილის და ზ. ბუკიას ნაშრომის «ქართული მეჩაიეობა (უახლესი წარსული)» ნაშრომის რეცენზირების შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.
3. ფარული კენჭისყრა
4. აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.
5. აკადემიკოს თამაზ კუნჭულიას ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

**მესამე სხდომა** ჩატარდა 26 აპრილს და განხილული იქნა საკითხები:
1. ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნის არჩევნები;
1. "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ".

**მოხსენებელი:** აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.

**მეოთხე სხდომა** ჩატარდა **15** მაისს და განხილული იქნა საკითხები:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ეკონომიკური ანალიზისა და სტრატეგიული კვლევის სამსახურის 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში.

**მომხსენებელი:** ეკონომიკური ანალიზისა და სტრატეგიული კვლევის სამსახურის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ლეილა გეგენავა.

**მეხუთე სხდომა** ჩატარდა **21** ივნისს და განხილული იქნა საკითხი:

1. წევრ-კორესპონდენტ გიორგი ნიკოლეიშვილის ინფორმაცია 2017 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

**მეექვსე სხდომა** ჩატარდა **11** ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი:

1. აგრარული სექტორის მართვის სრულყოფის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი რევაზ ასათიანი.

**მეშვიდე სხდომა** ჩატარდა 2918 წლის 18 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: "ფერმერთა და სპეციალისტთა ცენტრის ფუნქციონირების სესახებ"; **მომხსენებელი** აკად. ომარ ქეშელაშვილი;

**მრგვალი მაგიდა 2018 წლის 19** სექტემბერი, განხილული იქნა საკითხი: "რატომ ტოვებს ქართველი გლეხი მიწას". **მომხსენებელი:** აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია.

## ფერმერებისა და სპეციალისტებისთვის აგროსაკონსულტაციო სერვისების მიწოდების ინოვაციური მოდელის - „აგროპედია"-ს შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2019 წლის 25 იანვარს მოისმინა მოხსენება: "**ფერმერებისა და სპეციალისტებისთვის აგროსაკონსულტაციო სერვისების მიწოდების ინოვაციური მოდელის - „აგროპედია"-ს შესახებ."**

**მომხსენებლები:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **თემურ რევიშვილი;** "საქართველოს აგრარიკოსთა მოძრაობის" დამფუძნებელი, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ლექტორი **ანდრო ხეთერელი.**

აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების პროცესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აგრო-საკონსულტაციო სერვისების არსებობაზე. ამ სახის სერვისები ფერმერებისათვის უზრუნველყოფს მათი მეურნეობების ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭირო თანამედროვე ცოდნის და ინფორმაციის მიწოდებას. შესაბამისად, აგრო-საკონსულტაციო სერვისებზე წვდომის არარსებობა, ან არაობიექტური და უხარისხო აგრო-საკონსულტაციო სერვისები წარმოადგენს ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების შემაფერხებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

მოცემულ ეტაპზე ქართველ ფერმერებს გააჩნიათ აგრო-საკონსულტაციო სერვისების მიღების ორი უმთავრესი საშუალება:

1. ტექნოლოგიების რეალიზატორი კომპანიები;
2. პრესა და ინტერნეტი;
3. საჯარო აგრო-საკონსულტაციო სამსახურები.

აგრო-საკონსულტაციო სერვისების წარმოებისას ტექნოლოგიების რეალიზატორი კომპანიების უმთავრეს მოტივაციას წარმოადგენს საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია. აქედან გამომდინარე კერძო სექტორი აწარმოებს მხოლოდ მისი პროდუქტების მოხმარებასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო სერვისებს და კონკრეტულად მისი კლიენტი ფერმერებისათვის.

საკონსულტაციო სერვისებსა და ინფორმაციაზე ფერმერთა თემებში არსებული მოთხოვნის სრული დაფარვა ვერ ხერხდება ქვეყანაში გამოცემული აგრარული პროფილის პრესის საშუალებით. ხოლო ინტერნეტით ან სხვა გადაუმოწმებელი საშუალებებით კი ფერმერები ხშირად იღებენ მცდარ ინფორმაციას.

ამჟამად საქართველოში შექმნილია და ვითარდება აგრო-საკონსულტაციო სევრისების წარმოებაზე ორიენტირებული სახელმწიფო სამსახურები (გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები), რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს ყველა ტერიტორიულ ერთეულში - რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე. მათი უმთავრესი ამოცანაა ობიექტური აგრო-საკონსულტაციო სერვისების წარმოება და საჭირო ცოდნის გავრცელება.

სოფლების დიდი რაოდენობის და ფერმერულ მეურნეობათა მრავალფეროვნების გამო მოცემულ ეტაპზე აგრო-საკონსულტაციო მიმართულებით მომუშავე საჯარო სტრუქტურები საჭიროებენ დამხმარე მექანიზმებს, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი ფერმერებისათვის საჭირო ინფორმაციის და საკონსულტაციო სერვისების სისტემატური მიწოდება. ამ მიმართულებით საჭიროა არსებობდეს აგრარული პროფილის საინფორმაციო-საკონსულტაციო მასალების ერთიანი ცენტრალიზებული ბაზა, რომელიც ერთის მხრივ, უზრუნველყოფს საჭირო საკონსულტაციო-საცნობარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ფერმერებისათვის და მეორეს მხრივ, მისი ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული დიდ ფინანსურ დანახარჯებთან.

აგრო-საკონსულტაციო სფეროში არსებული სიტუაციის შესწავლის და შესაბამისი კვლევების განხორციელების შედეგად, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს აგრარიკოსთა მოძრაობის" მიერ შეიქმნა ცოდნის და ინფორმაციის გავრცელებაზე ორიენტირებული ინოვაციური პლატფორმა - აგროპედია.

აგროპედია წარმოადგენს თანამედროვე და მუდმივად განახლებად აგრო-ბიბლიოთეკას, რომელიც მოთავსებულია სპეციალურ აპარატში - აგროპედიას კიოსკში, რომელიც თავის მხრივ განთავსებულია მუნიციპალიტეტებში, ისეთ საჯარო დაწესებულებებში, სადაც ხშირად დადიან ადგილობრივი ფერმერები. ასეთი დაწესებულებებია:

გამგეობები, მუნიციპალიტეტის მერია, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივი სამსახურები და სხვ. კიოსკით სარგებლობა უფასოა, საჭირო ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია მარტივად – ეკრანზე ხელის შეხებით.

კიოსკის დიზაინი და მოხმარების წესი მაქსიმალურად ადაპტირებულია ფერმერთა საჭიროებებზე. პროგრამის მართვა კიოსკებში ინფორმაციის განახლება - ახალი აგრო-საკონსულტაციო პროფილის მასალების სისტემატური დამატება წარმოებს ცენტრალიზებულად, „საქართველოს აგრარიკოსთა მოძრაობის“ ექსპერტების მიერ, საჯარო სექტორში მომუშავე სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ამ დროისათვის აგროპედიას კიოსკებში მოცემულია 2000-ზე მეტი სტატია და მასალა სხვადასხვა აგრო-ღონისძიებისა თუ სერვისის შესახებ.

აგროპედიას შექმნის და მისი გავრცელების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით საინფორმაციო-საკონსულტაციო და შემეცნებითი სივრცის შექმნა საქართველოში მცხოვრები ფერმერებისათვის და ფერმერთა წვდომის უზრუნველყოფა მათი მეურნეობებისათვის საჭირო ინფორმაციასა და მასალებზე. გარდა ამისა, აგროპედია არის დამხმარე მექანიზმი აგრო-საკონსულტაციო სფეროში მომუშავე საჯარო მოხელეებისთვის: აგროპედიას გამოყენებით მათ საშუალება ეძლევათ ეფექტურად და უდანახარჯოდ გაავრცელონ საჭირო ინფორმაცია და რეკომენდაციები ფერმერთა თემებში და სრულად ხელმისაწვდომი გახადონ საკონსულტაციო სერვისები ყველა ფერმერისათვის.

აგრო-საექსტენციო / საკონსულტაციო სერვისების მიწოდების მსგავსი მექანიზმი შეიქმნა და ინერგება მხოლოდ საქართველოში. იდეა ეკუთვნის ორგანიზაციას. თავდაპირველად, ორგანიზაციის მიერ ჩატარდა კვლევა, რათა მომხდარიყო მსგავსი მოწყობილობების იდენტიფიცირება, რაც გაამარტივებდა ქართული ანალოგის შექმნას. კვლევის პროცესში ჩართული იქნა როგორც ადგილობრივი დონორი ორგანიზაციები, ასევე აგრო-საექსტენციო მიმართულებით მნიშვნელოვანი რესურსების მქონე საგანმანათლებლო ინსტიტუტები (ტეხასის და ილინოისის უნივერსიტეტები).

კვლევის შედეგად აგრო-მიმართულებით მომუშავე მსგავსი მოწყობილობის ანალოგის იდენტიფიცირება ვერ განხორციელდა. შესაბამისად, მოწყობილობის დიზაინი და ტექნიკური შესაძლებლობები განისაზღვრა საქართველოში და დამზადდა ელექტრონული პროგრამა ქართულენოვანი პროფესიული შიგთავსით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას რომ პროექტი ინოვაციურია და მისი დანერგვა ამ ეტაპზე მიმდინარეობს მხოლოდ საქართველოში, თუმცა მას გააჩნია საერთაშორისო / რეგიონალურ დონეზე გავრცელების პოტენციალი პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში და სხვა განვითარებად სახელმწიფოებში, სადაც სოფლის მეურნეობით დაკავებულია მოსახლეობის დიდი ნაწილი და ნაკლებია წვდომა თანამედროვე აგრარულ ლიტერატურასა და აგრო-საკონსულტაციო სერვისებზე.

თავდაპირველად აგროპედიას იდეის პრაქტიკაში დანერგვის მიზნით ორგანიზაცია ანხორციელებს პროექტს, რომელიც შედგება სამი ძირითადი ეტაპისაგან:

**I ეტაპი** - აგროპედიას პროექტის პილოტირება მუნიციპალურ დონეზე.

**II ეტაპი** - მუნიციპალურ დონეზე პილოტირებული პროექტის შედეგების გათვალისწინებით აგროპედიას გავრცელება-ადაპტირება რეგიონალურ დონეზე.

**III ეტაპი** - აგროპედიას პროექტის გავრცელება ეროვნულ დონეზე.

მუნიციპალურ დონეზე აგროპედიას პროექტის პილოტირება განხორციელდა 2017 წელს, აჭარის ა/რ-ში, სადაც ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის მხარდაჭერით, აგროპედიას კიოსკი გადაეცა აჭარის ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრს“ და განთავსდა ქედის მუნიციპალიტეტში. შემდგომი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა:

- აგროპედიას კიოსკის მოხმარების დინამიკაზე დაკვირვებას და აღრიცხვას;
- მასალების მუდმივად განახლებას;
- პროგრამის ტექნიკურ ადაპტირებას კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად.

კვლევის შედეგებმა წარმოაჩინა რომ ერთი სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში (მარტიდან-ნოემბრამდე) ქედის მუნიციპალიტეტში წაკითხული იქნა აგროპედიას კიოსკში არსებული ყველა მასალა (1500 სტატია). ხოლო წაკითხული მასალების ჯერადობამ კი გადააჭარბა 10 000-ს.

აღნიშნული შედეგი წარმოაჩენს იდეის ეფექტურობას, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სხვა ნებისმიერი არსებული საშუალებით ანალოგიური შედეგის მიღწევა საჭიროებს გაცილებით მეტ ფინანსურ დანახარჯებს. მაგალითად, იგივე რაოდენობის მასალის ნაბეჭდი სახით გავრცელების ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება აგროპედიას ერთი კიოსკის ღირებულებას და უმნიშვნელო ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია კიოსკის მიერ ელექტროენერგიის მოხმარებასთან. ხოლო 1500 ერთეული სტატიის სატელევიზიო ფორმატით გავრცელება კი ტექნიკური თვალსაზრისით გაცილებით რთული და ასევე ძვირადღირებული პროცესია.

ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობის თვალსაზრისით აგროპედიას კიოსკების ერთადერთ პოტენციურ ალტერნატივას წარმოადგენს ინტერნეტი, მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ერთის მხრივ საქართველოს სოფლებში ინტერნეტის მიწოდება ჯერჯერობით შეზღუდულია და მეორეს მხრივ შუახნის და ასაკოვანი ფერმერები ნაკლებად ფლობენ ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციის მოძიებისათვის საჭირო ცოდნას და უნარებს. აგროპედიას კიოსკით სარგებლობა კი მარტივი პროცესია. ამიტომ აგროპედიას პროექტი უმთავრესად ორიენტირებულია წვრილი და საშუალო ფერმერული მეურნეობების მქონე ფერმერთა საჭიროებებზე. საქართველოს აგრარულ სექტორში დასაქმებული ადამიანების უმრავლესობა კი ფლობს წვრილ და საშუალო ფერმერულ მეურნეობებს.

პროექტის პირველი ეტაპის განხორციელების და მიღებული შედეგების გაცნობის შემდეგ დაიწყო პროექტის მეორე ეტაპი - აგროპედიას კიოსკების რეგიონალურ დონეზე გავრცელების პროცესი. შედეგად, აგროპედიას კიოსკები განთავსდა აჭარის ა/რ-ის ყველა მუნიციპალიტეტში და ქალაქ ბათუმში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობაში.

კიოსკების ტექნიკური ინსტალაციის პარალელურად, გაგრძელდა პროგრამის მოხმარების აღრიცხვის და მასა-

ლების დამატების პროცესი. ამ დროისათვის ყოველთვიურად ფერმერების მიერ თითოეული კიოსკიდან წაკითხული მასალების რაოდენობა 600-დან 900-მდეა, ხოლო ჯერადობა კი საშუალოდ 1000-1200-ის ფარგლებშია. ჯამურად, აჭარის ა/რ-ის ტერიტორიაზე განთავსებული აგროპედიას კიოსკებში განთავსებული მასალის წაკითხვის ჯერადობა თვეში საშუალოდ 6000-მდე აღწევს.

აჭარის ა/რ-ის მუნიციპალიტეტებში განთავსებული აგროპედიას კიოსკების მართვის პარალელურად, მიმდინარეობს პროექტის მესამე ეტაპის მოსამზადებელი პროცესი. როგორც უკვე აღინიშნა, პროექტის მესამე ეტაპი გულისხმობს აგროპედიას კიოსკების გავრცელებას ეროვნულ დონეზე. ამ დროისათვის პროექტის მესამე ეტაპის თავდაპირველ სამიზნე არეალად შერჩეული იქნა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონი, სადაც გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) პროექტის („პროფესიული განათლებისა და ექსტენციის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში“) მხარდაჭერით განხორციელდა აგროპედიას კიოსკის ინსტალაცია და მიმდინარეობს სამუშაოები კიოსკების შემდგომი რეპლიკაციის მიმართულებით. გარდა ამისა, პროექტის მესამე ეტაპის ფარგლებში აგროპედიას კიოსკის განთავსება განხორციელდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, სადაც კიოსკის საშუალებით აგრარული პროფილის სტუდენტები იღებენ საჭირო ცოდნას და ინფორმაციას როგორც დარგობრივი მიმართულებებით, ასევე სასწავლო პროცესის შესახებ. მოცემულ ეტაპზე აგროპედიას პროექტის ძირითადი პარტნიორები არიან:

- სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD).
- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) პროექტი („პროფესიული განათლებისა და ექსტენციის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში“).
- აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი.
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.
- საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
- სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

## ჩაის კულტურის ტექნიკური რეგლამენტის პროექტის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2019 წლის 22 თებერვალს მოისმინა მოხსენება: “ჩაის კულტურის ტექნიკური რეგლამენტის პროექტის შესახებ“. მომხსენებლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნირებათა აკადემიის აკადემიკოსები: **თამაზ კუნჭულია, ვალერიან ცანავა, თემურ რევიშვილი;** დოქტორი **ქეთევან ლაფერაშვილი.**

აღინიშნა, რომ წყლის შემდეგ ყველაზე პოპულარული სასმელის ჩაის მსოფლიო წარმოება 4 მილონ ტონას შეადგენს და ძირითადი პროდუცენტი ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: **ჩინეთი – 1,47 მლ. ტ, ინდოეთი – 990 ათასი ტ, კენია - 399 ათასი ტ, შრი ლანკა – 282 ათასი ტ, ვიეტნამი – 198 ათასი ტ, თურქეთი – 235 ათასი ტ, ირანი – 166 ათასი ტ. , ინდონეზია – 150 ათასი ტ; იაპონია – 89 ათასი ტ.** შემდეგ მოდის აფრიკის და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები, სულ ჯამში – 43 სახელმწიფო. **მსოფლიო ჩაის წარმოების თითქმის 80% შემდეგ 5 ქვეყნებზე მოდის: ჩინეთი – 38%, ინდოეთი – 23%, კენია – 9%, შრი ლანკა – 8%, ვიეტნამი – 4%.**

ჩაის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია : **რუსეთი – 180 ათასი ტ, დიდი ბრიტანეთი – 153 ათასი ტ, პაკისტანი - 134 ათასი ტ, ირანი - 54 ათასი ტ, ეგვიპტე – 50 ათასი ტ.**

საქართველოში მზა ჩაის წარმოება წლების მიხედვით (ათასი ტ):

**1940 წ. – 12,3; 1945 წ. – 5,08; 1950 წ. – 21,0; 1955 წ. – 29,4; 1960 წ. – 39,2; 1965 წ. – 46,5; 1970 წ. – 64,7; 1975 წ. – 83,7; 1980 წ. – 125,5; 1985 წ. – 145,4; 1990 წ. – 128,8; 1995 წ. – 10,8; 1998 წ. – 47,5; 1999 წ. – 60,5, 2000 წ. – 22,0; 2001 წ. – 21,8; 2002 წ. – 22,2; 2003 წ. – 23; 2004 წ. – 20,0; 2005 წ. – 22,1; 2006 წ. – 8,1; 2007 წ. – 8,7; 2008 წ. – 7,5; 2009 წ. – 7,6; 2010 წ. – 7,4; 2015 წ. – 2,1, 2011 წ. – 2,9; 2012 წ. – 2,6; 2013 წ. – 3,3; 2014 წ. – 1,8; 2015 წ. – 2,1; 2016 წ. – 3,01; 2017 წ. – 3,0.**

2013 წელს მსოფლიოს ჩაის მწარმოებელმა 6 ქვეყანამ **ინდოეთმა, შრი ლანკამ. კენიამ, ინდონეზიამ, მალავიმ და რუანდამ, რომელთა წილი მსოფლიოში წარმოებული ჩაის 50%-ს აღემატება,** შექმნეს ნავთობის ექსპორტიორი ორგანიზაციის (ოპეკი) მსგავსი ორგანიზაცია **“საერთაშორისო ჩაის მწარმოებელთა ფორუმი” (Internacional Tea Producents Forum)**, რომლის შტაბ-ბინა განთავსებულია კოლომბოში. ამ ორგანიზაციის შექმნის ერთ-ერთ ძირითადი მიზანი ჩინეთთან, ვიეტნამთან, თურქეთთან და ირანთან კონკურენცია წამოადგენს.

ამ უმძაფრესი კონკურენციის პირობებში, საქართველოში მეჩაიეობის დარგი გადაუდებელი,

არაორდინარული სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებას და მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს. ასეთი პირობების არსებობის შემთხვევაში სამამულო მეცნიერებას შემუშავებული აქვს ეფექტიანი ღონისძიებები, მეთოდები და საშუალებები სექტორის აღორძინების და შემდგომი განვითარების ხელშეწყობისთვის.

მოცემულ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის #20 დადგენილების შესაბამისად, სახელმწიფოს ხელშეწყობით და დაფინანსებით, ხორციელდება ჩაის წარმოების სარეაბილიტაციო სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“. პროგრამის ფარგლებში არსებული ჩაის პლანტაციების ეტაპობრივი რეაბილიტაცია და სანედლეულო ბაზის ეფექტიანი გამოყენება. თანამედროვე გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის დამზადება იგეგმება. სახელმწიფო ასევე განახორციელებს ჩაის გადამამუშავებელი მცირე საწარმოების ხელშეწყობის პროგრამას და დონორ ორგანიზაციებთან ერთად, იგეგმება სერტიფიცირების პროგრამების და ყველა შესაბამისი ღონისძიების განხორციელება, რომელიც საჭიროა პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტისთვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2016 წ. 12 აგვისტოს #2-184 ბრძანების შესაბამისად, პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის და სურსათის / ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა “ჩაის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი.

„ჩაის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი ადგენს მოთხოვნებს სხვადასხვა სახეობის მცენარე ჩაის, ჩაის ბუჩქის ანუ ჩინური კამელიას **Camellia sinensis (L) O. Kuntze** - ს დუყისგან დამზადებული სასმელის - ჩაის მიმართ და აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ ჩაის წარმოების, გადამუშავებისა და ბაზარზე განთავსების პირობებს.

ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს ჩაის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ჩაიზე, რომელიც განთავსებულია ბაზარზე ადამიანის მიერ უშუალოდ მოხმარებისათვის.

ჩაის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი შედგენილია ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების მოქმედი მოთხოვნების გათვალისწინებით, შედგება 11 მუხლისგან, ძირითადი ტექსტი წარმოდგენილია 25 გვერდზე. მასში თანმიმდევრულად მოცემულია: ზოგადი დებულებები; მიზანი, რეგულირების სფერო და ობიექტი; ტერმინთა განმარტებები, რომლებიც უკავშირდება ჩაის მცენარეს, ჩაის ფოთოლს და მშრალ ფოთოლს, ჩაის ნაყენის გემურ თვისებებს და გარეგან სახეს, ფოთლის გამონახარშს, წარმოების მეთოდებს, ჩაისა და ჩაის პროდუქციას; ჩაის და ჩაის პროდუქციის ბაზარზე განთავსების პირობები; მოთხოვნები რეგულირების ობიექტის მიმართ; ჰიგიენის მოთხოვნები ბიზნეს ოპერატორის მიმართ და რეგულირების ობიექტის შესაბამისობის კონტროლი. ტექნიკურ რეგლამენტს თან ერთვის 12 ცხრილი, რომლებშიც მოყვანილია საერთაშორისო და სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით ყველა ცნობილი სახის ჩაის პროდუქციის ორგანოლეპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები.

ჩაის ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებულია ჩაის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ჩაის ბიოქიმიის, სტანდარტიზაციის და ნორმატიული დოკუმენტაციის შეუშავების მიმართულებით ჩატარებული მრავლწლიანი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მონაცემები.

სამუშაო ჯგუფმა შემადგენლობით: ქეთევან ლაფერაშვილი, თამაზ კუნჭულია, თემურ რევიშვილი, ვალერიან ცანავა, ზაურ გაბრიჩიძე, შორენა ტატიშვილი უზრუნველყო „ჩაის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის პროექტის დადგენილ ვადაში მომზადება და წარდგენა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებში.

უნდა აღინიშნოს, რომ რიგი სუბიექტური, თუ ობიექტურ მიზეზთა გამო შემუშავებული დოკუმენტი კვლავ პროექტად რჩება.

აღნიშნული, მოხსენების მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და მისი პრეზიდიუმის წევრების ინფორმირებულობა და ყურადღების მიპყრობა სამუშაო ჯგუფის მიერ შესრულებული საკმაოდ შრომატევადი სამუშაოს მიმართ და “ჩაის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შემდგომი განხილვა-დამტკიცების საქმეში მხარდაჭერა.

# საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან მისი კოორდინირებული საქმიანობის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2019 წლის 22 თებერვალს მოისმინა მოხსენება საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან მისი კოორდინირებული საქმიანობის შესახებ. მო**მხსენებელი:** საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი გიორგი ქავთარაძე.

აღინიშნა, რომ ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ისტორია არ იწყება საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, მაგრამ იგი დაკავშირებულია წარსულში სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტთან და ამ ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტზე მოღვაწე გამოჩენილი ქართველი მეცნიერების, აკადემიკოსების ნიკო კეცხოველის და ვასილ გულისაშვილის სახელთან, რომელთა ძალისხმევითაც 1945 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაქვემდებარებაში დაფუძნდა კვლევითი ინსტიტუტი და ეწოდა ,,თბილისის სატყეო ინსტიტუტი“. 1979 წლიდან კი აკად. ვ.გულისაშვილის გარდაცვალების შემდეგ ინსტიტუტს ეწოდა ,,ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი“, რომლის სახელსაც დღემდე ატარებს.

სატყეო ინსტიტუტის დაფუძნება იმ დროისთვის შეფასდა, როგორც ქართული სატყეო მეცნიერების და ზოგადად დარგის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა. ასეც აღმოჩნდა, ინსტიტუტი მალევე ჩამოყალიბდა და აღიარებულ იქნა, როგორც საერთაშორისო (იმ დროისთვის საკავშირო) დონის მძლავრი სამეცნიერო კერა სამთო მეტყევეობის მიმართულებით, რომელმაც მთელი ამ ხნის განმავლობაში, ვიდრე დღევანდელ დღემდე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დარგის განვითარების ყველა ეტაპზე.

ინსტიტუტი საქართველოში დღემდე ერთადერთ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციად რჩება, 70 წელზე მეტი გამოცდილებით და ტრადიციებით, რომელსაც დღესაც მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია ქვეყანაში დარგის განვითარების კონტექსტში, განსაკუთებით ახალი გამოწვევების გათვალისწინებით, რაც დაკავშირებულია მათ შორის რიგ საერთაშორისო დონეზე აღებულ ვალდებულებებთან, რომელიც ავალდებულებს ქვეყანას მნიშვნელოვანი საკითხები დარგობრივი მიმართულებით გადაწყვიტოს, ერთმნიშვნელოვნად მეცნიერული კვლევის საფუძველზე.

ქვეყანაში განხორციელებული ე.წ. საგანმანათლებლო რეფორმის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 ივლისის #210 დადგენილების საფუძველზე, მანამდე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებული სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები შეუერთდა შესაბამისი პროფილის სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. სსიპ ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი, სხვა კვლევით ინსტიტუტთან ერთად შეუერთდა მაშინ ჯერ კიდევ სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტს, რომელმაც მალევე კერძო სტატუსი შეიძინა. შესაბამისად აღნიშნული კვლევითი ინსტიტუტები აღმოჩნდა კერძო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში.

აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ ეს კვლევითი დაწესებულებები და მათ შორის ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი დარჩა სახელმწიფოს მხრიდან პრაქტიკულად ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე და დღემდე არ გააჩნია საბაზისო დაფინანსებაც კი. თვითდაფინანსების ერთადერთი წყარო, სამეცნიერო გრანტებით მოზიდული სახსრებია, რომელიც სტაბილურად ხელმისაწვდომი არ არის, რაც ცხადია კვლევითი პროცესის უწყვეტი და სტაბილური განვითარების მინიმალურ პირობასაც ვერ ქმნის. აღნიშნული კი აუცილებელია კვლევითი დაწესებულების ეფექტური ფუნქციონირებისთვის და სტაბილური განვითარებისათვის. ამავდროულად ძნელია მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნება, რომლის ,,ფუფუნებაც“ ქვეყანას ისედაც არ აქვს და ასევე, რაც მთავარია ვერ იქმნება სამოტივაციო გარემო ახალგაზრდა სპეციალისტების მეცნიერებით დაინტერესებისთვის, რაც თაობათა შორის ისედაც არსებული წყვეტით გამოწვეულ სერიოზულ საკადრო პრობლემას კიდევ უფრო აღრმავებს.

ამ ვითარებაში ინსტიტუტის და ზოგადად ქვეყანაში ტყის კვლევის მიმართულებით აქტივობების დღემდე შენარჩუნება, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თითოეული აქ მოღვაწე მეცნიერის პრაქტიკულად პერსონალური ენთუზიაზმის ხარჯზე ხერხდება, რაც დარგისადმი და ზოგადად მაღალი სახელმწიფოებრივი პასუხიმგებლობის უდაო გამოხატულებაა.

ინსტიტუტი ამ შეზღუდული რესურსების პირობებშიც აქტიურად აგრძელებს სამეცნიერო აქ-

ტივობებს და ცდილობს უპასუხოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო თვალსაზრისით ყველა აქტუალურ საკითხს, რომელიც მოიცავს, მთის ტყეებთან დაკავშირებულ ყველა ძირითად მიმართულებას და ეხება მოვლა-დაცვის, აღდგენა-განახლების და მდგრადი ტყითსარგებლობის საკითხებს. კერძოდ, ძირითადი საკვლევი თემატიკიდან გამოსაყოფია შემდეგი: მთის ტყეების ეკოსისტემური და სახეობრივი მრავალფეროვნების კვლევა; კლიმატის ცვლილების მიმართ ტყეების ადაპტაციის და მდგრადი ტყეების ფორმირების საკითხები; ტყის მავნებლებისა და დაავადებების ბიოლოგიის და მათთან ბრძოლის საკითხები; ტყის ხანძრები და მასთან ბრძოლის (პიროლოგია) პრობლემები; აგრომეტყევეობა: ენერგეტიკული და სამრეწველო პლანტაციები, ქარსაცავი და მინდორსაცავი ტყის ზოლები; ურბანული მეტყევეობა: დენდროლოგიური პარკები, სკვერები და მწვანე ზონები ; ტყის იშვიათი, გენეტიკურად მნიშვნელოვანი მერქნიანი სახეობები, მათი კონსერვაციის და კვლავწარმოების საკითხები; ტყეების ინვენტარიზაციის, დაგეგმვის და მონიტორინგის საკითხები; სატყეო პოლიტიკის, მდგრადი მართვის და ტყეების სერტიფიცირების საკითხები.

ინსტიტუტის წარმატებულ მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ზემოთ აღნიშნული თემატიკის ირგვლივ, განხორციელებულია 20-მდე სამეცნიერო პროექტი, შესაბამისად არის მნიშვნელოვანი მიღწევები, რომელთაგან გამოსაყოფია შემდეგი: შექმნილია მონაცემთა ბაზა და თესლის ბანკი საქართველოში, ტყის მნიშვნელოვანი გენეტიკური რესურსების შესახებ (13 ენდემური და რელიქტური სახეობა); შედგენილია პირველი ქართული ენტომოლოგიური ნომენკლატურული ლექსიკონი; დამუშავებულია საქართველოს მერქნული-ენერგეტიკული რესურსების ეფექტური გამოყენების კონცეფცია და სტრატეგია; საერთაშორისო პროექტის ფარგლებში (ბალკანეთის ქვეყნები და საქართველო) აღმოჩენილი იქნა მსოფლიოში აქამდე უცნობი წაბლის კიბოს ვირუსით დაავადებული პოპულაცია. ამჟამად მიმდინარეობს კვლევა ამ დაავადების წინააღმდეგ აღნიშნული ვირუსის ბიომეთოდად გამოყენების მიმართულებით ; დამუშავებულია ნაძვის დიდი ლაფანჭამიას წინააღმდეგ ბრძოლის ინოვაციური ბიოლოგიური მეთოდოლოგია, რომელსაც დღესაც არაერთი ქვეყანა იყენებს წარმატებით; შექმნილია ენტომოპათოგენური მიკროორგანიზმებისა და პარაზიტების მონაცემთა ბაზა, გერმანიის აშშ-ს და ინგლისის კვლევით ინსტიტუტებთან ერთად; დამუშავებულია ზოგიერთი სწრაფმზარდი მერქნიანი სახეობის სამრეწველო პლანტაციების გაშენების ადგილობრივი აგროტექნოლოგია; შემუშავებულია სწრაფმზარდი მერქნიანი სახეობების ბუნებრივი განახლების გამოკვლევის მეთოდოლოგიური საკითხები ჩვენი რეგიონისთვის; შექმნილია მონაცემთა ბაზა საქართველოს ტყის მწერებზე.

2018 წელს დასრულდა მრავალწლიანი კვლევების ციკლი, რომლის შედეგადაც შეიქმნა ბიოლოგიური პრეპარატი, რომლის საერთაშორისო რეგისტრაციის პროცედურა მიმდინარეობს ამჟამად და რეგისტრირდება სახელწოდებით „Bover Ge“. ამ პრეპარატმა, რომელიც სრულიად უვნებელია გარემოსთვის ძალიან კარგი შედეგები აჩვენა მავნებლების წინააღმდეგ ლაბორატორიულ პირობებში (ხელმძღვანელი მ. ბურჯანაძე);

2018 წელს ასევე დასრულდა კვლევების ციკლი, რომლის ფარგლებშიც შეფასდა ნახშირბადის მარაგი საქართველოს ტყეებში, შესაბამისად გვაქვს სრული სურათი ამ თვალსაზრისით (ხელმძღვანელები გ. ვაჩნაძე, ზ. ტიგინაშვილი).

რაც შეეხება მიმდინარე სამეცნიერო პროექტებს, ინსტიტუტი ახორციელებს 2 სამეცნიერო პროექტს, ასევე 2019 წლის მარტის თვიდან დაიწყებს 3 პროექტის განხორციელებას, რომელმაც გაიმარჯვა 2018 წლის ფუნდამენტური კვლევების კონკურსში და მოიპოვა დაფინანსება. ეს პროექტებია:

1. „ინოვაციური მეთოდების დამუშავება საქართველოსათვის ინვაზიური მავნე მწერის ბზის ალურას - Cydalima perspeqtalis (Walker) მონიტორინგისა და კონტროლისათვის“ ვადები: 2016-2019; ხელმძღვანელი მედეა ბურჯანაძე;
2. „გარემოსათვის უსაფრთხო ინოვაციური საშუალებებით ბიოთხილის წარმოების ხელშეწყობა“ ვადები: 2017-2020; ხელმძღვანელი მანანა კერესელიძე;
3. „ეკოლოგიურად უსაფრთხო საშუალებების გამოყენება აზიური ფაროსანას Halyomorphahalys-წინააღმდეგ საქართველოში ვადები: 2018-2020; ხელმძღვანელი მედეა ბურჯანაძე;
4. „უცხო, პოტენციურად ინვაზიური მერქნიანი მცენარეების შესწავლა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე“ ვადები: 2019 -2022, ხელმძღვანელი გიორგი ქავთარაძე;
5. „კლიმატის ცვლილების გავლენის მოდელირება თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული ტყის ეკოსისტემაზე (model PICUS v1.5) ვადები: 2019 -2022, ხელმძღვანელი გივი ვაჩნაძე.

ინსტიტუტს კვლევებისთვის გააჩნია თანამედროვე 3 ლაბორატორია, აქედან ორი მწერთა პათოგენების კვლევის და ტყის დაცვის მიმართულებით, ხოლო ერთი მეტყევეობის მიმართულებით (დენდროლაბორატორია). მათი აღჭურვა მოხდა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტის ფარგლებში.

სატყეო ინსტიტუტს, როგორც კვლევით ორგანიზაციას, ასევე მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია სასწავლო პროცესში კვლევითი კომპონენტების ჩართვის და განვითარების თვალსაზრისითაც, რასაც როგორც აგრარულ უნივერსიტეტს დაქვემდებარებული რგოლი ახორციელებს კიდეც. ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოში, რომელიც სატყეო სპეციალობის სტუდენტებს სასწავლოსთან ერთად,

კვლევითი პროცესებში ჩართვის შესაძლებლობასაც სთავაზობს. ინსტიტუტის მეცნიერები ამავდროულად არიან არჩეული აკადემიურ თანამდებობებზე, უძღვებიან სასწავლო კურსებს და ხელმძღვანელობას უწევენ მაგისტრანტებს და დოქტორანტებს.

ზოგადად სატყეო ინსტიტუტი აქტიურად ცდილობს გაუწიოს პოპულარიზაცია სატყეო განათლებას და მეცნიერებას, ამისთვის თავად ახორციელებს ან ჩართულია საინტერესო აქტივობებში. ასე მაგალითად:

- 2016 წელს შრესფ დაფინანსებით განხორციელდა რეგიონული პროექტი სეზონური სატყეო სკოლა 2016, სადაც ექსპერტებად მოწვეული იყვნენ ევროპის წამყვანი პროფესორები, ხოლო მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტები რეგიონის სამი ქვეყნიდან (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო);
- 2017 წელს ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, ჩეხ კოლეგებთან ერთად მოეწყო ახალი სამეცნიერო და სასწავლო დენდრომეტრიული ლაბორატორია, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე სატაქსაციო მოწყობილობების სრული კომპლექტით. ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა ინტენსიური 10 დღიანი პრაქტიკული კურსი სტუდენტებისთვის, აღნიშნული ხელსაწყოების გამოყენებით;
- 2017 წელს საქართველო პირველად შეუერთდა „ევროპის ტყეების კვირეული“-ს, რომელიც 2008 წლიდან იმართება გაეროს ეკონომიკური კომისიის, ტყისა და ტყის მრეწველობის კომიტეტის (COFFI) და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ევროპის სატყეო კომისიის (EFC) ორგანიზებით, მიზნად ისახავს ახალგაზრდა თაობაში ტყეების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მეტყევის პროფესიის პოპულარიზაციას. 2017 წელს გაიმართა რიგით მე-4 ღონისძიება სლოგანით „ტყეები ჩვენი საერთო სიკეთე“;
- 2019 წელი - ამერიკის მეტყევეთა საზოგადოებასთან თანამშრომლობით, მიღწეულ იქნა შეთანხმება და ჩვენი ორი მაგისტრატურის სტუდენტი სრული დაფინანსების უზრუნველყოფით გაივლის ხუთ თვიან სტაჟირებას ამერიკის, კერძოდ კალიფორნიის წამყვან უნივერსიტეტში, და ა.შ

ინსტიტუტი აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო პარტნიორებთან და პარალელურად ამყარებს ახალ კავშირებს და პარტნიორულ ურთიერთობებს მსოფლიოში დარგობრივ წამყვან ორგანიზაციებთან, ეს ორგანიზაციებია:

1. ტყის კვლევის ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირი (IUFRO);
2. ევროპის სატყეო ინსტიტუტი (EFI);
3. ევროპის ტყის გენეტიკური რესურსების პროგრამა (EUFORGEN);
4. ამერიკელ მეტყევეთა საზოგადოება (SAF);
5. ვენის ბუნებრივი რესურსების და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტი (BOKU);
6. ვარშავის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტი (SGGW);
7. უკრაინის ეროვნული სატყეო უნივერსიტეტი (UNFU);
8. ლიეტუვის ალექსანდრას სტულგუნსკის უნივერსიტეტი (ASU);
9. სომხეთის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტი;
10. ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი, თურქეთი.
11. ავსტრიის მეტყევეთა ასოციაცია;
12. ტექნოლოგიებისა და მეცნიერების ეროვნული კვლევითი ინსტიტუტი, გარემოსთვის და სოფლის მეურნეობისთვის (IRSTEA), საფრანგეთი;
13. ბრნოს მენდელის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა.

ინსტიტუტისთვის მნიშვნელოვანია და დასაფასებელია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო განყოფილებასთან თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივა. პროცესი იქნება ორმხრივად დადებითი შედეგების მომტანი, რამაც საერთო ჯამში ხელი უნდა შეუწყოს სატყეო მეცნიერების გაძლიერებას ქვეყანაში.

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ინფორმაცია 2018 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2019 წლის 28 მარტს მოისმინა ინფორმაცია: **საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის მიერ 2018 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.**

**აღინიშნა, რომ აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი საანგარიშო პერიოდში ასრულებდა თემას:** ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლისშემდგომი გამოკვლევა ტუბერკულოზზე. (სამეცნიერო ხელმძღვანელი). **2018 წელს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ასწავლიდა შემდეგ საგნებს:** ინფექციური დაავადებები (ლექცია, სემინარი). წვრილ ცხოველთა (ძაღლი, კატა) დაავადებები.

**გამოქვეყნებული აქვს სტატიები:**

1. თ. ყურაშვილი, მ. კერესელიძე, ლ. ავალიანი, მ. სოხაძე – „ცხოველთა პრიონული დაავადებები“, ბროშურა, თბილისი, 2018.
2. თ. ყურაშვილი, მ. კერესელიძე, ლ. ნინიძე –

„ცხოველთა ძირითადი ინფექციური პათოლოგიების დიაგნოსტიკა და პროფილაქტიკა“. სსმმა-ს სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოში მეცხოველეობის და ვეტერინარიის არსებული მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები“ მასალები, 2018, გვ 6–15.

3. მ. კერესელიძე, თ. ყურაშვილი, მ. მაწკეპლაძე – „ეკოლოგია და მეცხოველეობის საწარმოების ფუნქციონირება“. სსმმა-ს სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოში მეცხოველეობის და ვეტერინარიის არსებული მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები“ მასალები, 2018, გვ 130–137.
4. თ. ყურაშვილი, ლ. მაკარაძე, ი. ბარათაშვილი, ლ. ციცქიშვილი – საინფორმაციო ბუკლეტი – „ცხოველთა ტუბერკულოზი“, თბილისი, 2018.
5. Tsitskishvili L., Kurashvili T., Makaradze L., Baratashvili I., Samadashvili G., Glunchadze G., Bartaia L., Samadashvili Z. – Prevalence of Bovine Tuberculosis and its Risk Factors in Georgia. გადაეცა თენგიზ (გიზო) ურუშაძეს ჟურნალ „აგრარულ მეცნიერებათა მაცნე“-ში დასაბეჭდად.
6. თ. ყურაშვილი, მ. კერესელიძე, ლ. ნინიძე, ე. ღვალაძე – „ცხოველთა ნიადაგოვანი ინფექციები საქართველოში“. ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, 2018, გვ.

**მონაწილეობდა კონფერენციებში:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოში მეცხოველეობისა და ვეტერინარიის არსებული მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები“. თბილისი, 2018, 25 სექტემბერი.

**2 მოხსენება:**

1. ეკოლოგია და მეცხოველეობის საწარმოების ფუნქციონირება.
2. ცხოველთა ძირითადი ინფექციური პათოლოგიების დიაგნოსტიკა და პროფილაქტიკა.

სემინარი – „Mycobacterium bovis ინფექცია სამხრეთ კავკასიაში და მისი გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე“, საქართველო 2018. თბილისი – 25 იანვარი, ქუთაისი – 29 იანვარი. **2 მოხსენება** თემაზე: „საქართველოში ტუბერკულოზის აქტუალობა“.

კონფერენცია – „მთავრობის როლი ეკონომიკურ განვითარებაში – ინდუსტრიული პოლიტიკა“. თბილისი 2018, 16 მარტი.

კონფერენცია „განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა: სოფლის მეურნეობის პოლიტიკა“. თბილისი, 2018, 24 მაისი.

სიმპოზიუმი – „ვეტერინარიის მსოფლიო დღე – 2018“. (28 აპრილი). **1 მოხსენება:** „პრიონული ინფექციები“.

რადიო მოხსენება – „ნოდულარული დერმატიტი“. საქართველოს რადიო, 2018 წლის 19 აგვისტო.

ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, სსმმ აკადემია, 2018 წლის 5 დეკემბერი. **მოხსენება:** „ცხოველთა ნიადაგოვანი ინფექციები საქართველოში“.

**საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა:**

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი – 217822 (2016–2018) „საქართველოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ტუბერკულოზის გავრცელება და გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე“. სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ISTC – „Mycobacterium bovis ინფექცია სამხრეთ კავკასიაში“ (2017–2019). (მონაწილე)

**მოხსენებები სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს, პრეზიდიუმისა და განყოფილების სხდომებზე:** „მეცხოველეობის საწარმოების ფუნქციონირების გავლენა ეკოლოგიაზე“ (2018 წლის 17 ოქტომბერი); „სოფლად ვეტერინარიის დონე და მისი ამაღლების გზები“ (2018 წლის 27 თებერვალი); ინფორმაცია 17–21 სექტემბერს თბილისში გამართულ ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული რეგიონული კომისიის რიგით 28-ე კონფერენციის შესახებ (2018 წლის 28 სექტემბერი, პრეზიდიუმის სხდომა).

**სხვადასხვა ორგანიზაციების წევრობა:** საქართველოს ვეტერინარ ექიმთა გაერთიანებული ასოციაცია – წევრი, საქართველოს მემამულეთა კავშირი – ვიცე პრეზიდენტი, ჟურნალ „მოამბის“ რედკოლეგია – წევრი, ჟურნალ „აგრარული საქართველოს“ რედკოლეგია – წევრი.

მრავალი სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის და ბროშურის რედაქტორი და რეცენზენტი.

არ მიმიღია.

**სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები:** რადიო გამოსვლა (საქართველოს რადიო) თემაზე: „დაავადება ნოდულარული დერმატიტი“, 2018 წლის 19 აგვისტო; ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 70 წლისათვის მიძღვნილ საღამოში მონაწილეობა, 2018 წლის 10 მაისი.

ისრაელის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო „მაშავის“ 60 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მონაწილეობა, 2018 წლის 16 ოქტომბერი; CARD-ის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში მონაწილეობა, თემა: „ცხვრის ინდუსტრია“ 2018 წლის 6 აგვისტო; ვეტერინარიის მიმართულებით მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და

მოდულობის შექმნაში მონაწილეობა (ავტორობა). 2018 წელი; საანგარიშო პერიოდში (2018 წელი) აქტიური ჩართულობა ვეტერინარიის დეპარტამენტის საქმიანობაში; 2018 წლის 8 ივნისს ეროვნული კოორდინატორის თ. ყურაშვილის ინიციატივით ჩატარდა მრგვალი მაგიდა, რომელზეც განხილული იქნა ორი საკითხი: საქართველოში ცხოველთა სადგომების მდგომარეობის შესახებ (მომხსენებელი თენგიზ ყურაშვილი). ბაქტერიული პრეპარატის გამოყენება ნაკელის (სკორეს) სწრაფი კომპოსტირებისა და შემდგომი გაუსნებოვნებისათვის (მომხსენებელი: საწარმო Bio Elements AGRO-ს დირექტორი ელენე ბოკუჩავა).

მის მიერ წამოყენებულია შემდეგი საკითხები განყოფილებაში განსახილველი საკითხები: ცხოველთა უცხოქვეყნიური ინფექციური დაავადებები; მწერები და მათთან ბრძოლა; მღრღნელები და მათთან ბრძოლა.

ჩატარდეს ვეტერინარიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

## აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2019 წლის 28 მარტს მოისმინა მოხსენება აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ". მომხსენებლები: "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი - აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; რედაქტორის მოადგილე აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

აღინიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენი "აკადემიის მაცნე" არის ყოველკვარტალური გაზეთი, რომელიც აშუქებს აკადემიურ საბჭოზე განხილულ საკითხებს, ასევე აკადემიის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებს. კერძოდ სემინარებს, მრგვალ მაგიდებს, კონფერენციებს, საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობის საკითხებს. გასულ 2018 წელს გამოვიდა გაზეთ "აკადემიის მაცნეს" 4 ნომერი. მის ფურცლებზე გაშუქდა საკითხები, რომელიც ეხებოდა აკადემიის სამეცნიერო მიმართულებებს. გაზეთში აგრეთვე გამოქვეყნდა წლის განმავლობაში ჩატარებული აკადემიის საერთო კრებების (2 საერთო კრება) მასალები.

**"აკადემიის მაცნეს" პირველ ნომერში გაშუქდა პირველ კვარტალში ჩატარებული ღონისძიებები.** კერძოდ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის არჩევნების შედეგები; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის ხუთი წლის საქმიანობის ანგარიში (მოკლე ვერსია); აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო შრომათა კრებულის "მოამბის" მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ – მომხსენებლები: ჟურნალ "მოამბის" მთავარი რედაქტორი, აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; პასუხისმგებელი რედაქტორი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი. აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ; მომხსენებლები: "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; რედაქტორის მოადგილე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; აკადემიის მიერ 2017 წელს გამოცემული რეკომენდაციების, აგროწესებისა, ინსტრუქციების, ბუკლეტების, ბროშურების და სხვა ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო-საინფორმაციო გამოცემების მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ; მომხსენებლები: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში შეხვედრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრთან; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივა აჭარაში; აკადემიის პრემიის ლარეატები; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია საგამოფენო ცენტრ ექსპო ჯორჯიაში, მიძღვნილი აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სემინარი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში; აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი 70 საიუბილეო მილოცვა.

**"აკადემიის მაცნეს" მეორე ნომერში გაშუქდა მეორე კვარტალში ჩატარებული ღონისძიებები.** კერძოდ: საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებული "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესახებ" ორგანული კანონის პროექტის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა; საქართველოს მეაბრეშუმეობის პრობლემები, პერსპექტივები და აჭარაში თუთიის აბრეშუმხვევიას 2018 წლის საცდელ-საჩვენებელი გამოკვების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე;

მეცნიერუსეობის დარგში მოსაელიანობის გადიდებისა და რენტაბელობის შენარჩუნების ღონისძიებების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი გურამ პაპუნიძე; მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტში აგრარულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით გამართულ კონსულტაციებში, რომელიც შეეხებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკითხებს; მემორანდუმი საქართველოს პარლამენტის აპარატსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის; საგრანტო პროექტის "ტექნოლოგიური პროცესების ენერგოდანახარჯების გაანგარიშების საფუძველზე რაციონალური სასოფლო-სამეურნეო წარმოებებისათვის აუცილებელი ტექნიკის ნომენკლატურისა და რაოდენობის განსაზღვრის მეთოდიკის დამუშავება რეგიონში კულტურათა სახეობებისა და დაკავებული ფართობების მიხედვით" შემაჯამებელი ანგარიში. მომხსენებელი: პროექტის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე თევზაძე, სტუმრად აკადემიაში; აკადემიკოს ელგუჯა შაფაქიძის კონსულტაციები აჭარის აგროსერვისის ცენტრის გვარას ექსპერიმენტულ მეურნეობაში მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით თუთიის აბრეშუმხვევიას გამოკვების საკითხებზე; ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შესახებ "მესამე ათასწლეულის მდგრადი განვითარების მიზნები: სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა გამოწვევები" მიძღვნილი უკრაინის (ქ. კიევი) ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებიდან 120 წლისთავისადმი; მომხსენებელი: პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში; მომხსენებელი: ცენტრის დირექტორი, დოქტორი ლევან უჯმაჯურიძე; მრგვალი მაგიდა აკადემიის ეროვნული კოორდინატორების მონაწილეობით; მრგვალი მაგიდა ვეტერინარიის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მონაწილეობით; აკადემიის მხარდაჭერა აკადემიის სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების მიერ წარმოდგენილ საკითხზე "სურსათის მეცნიერებებისა და ნუტრიციოლოგიის საბაკალავრო სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები და ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში განსახორციელებელი ცვლილებების ინიცირება." მომხსენებელი გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, დოქტორი ქეთევან დადიანი;

**"აკადემიის მაცნეს" მესამე ნომერში გაშუქდა მესამე კვარტალში ჩატარებული ღონისძიებები.** კერძოდ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა "მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-განვითარების პერსპექტივებს საქართველოში; საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი "ევრაზიის ბიომრავალფეროვნება 2018"; მომხსენებელი: აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე; აკადემიის წევრების ვიზიტი სამეგრელოს რეგიონში აზიური ფაროსანას საწინაღმდეგო ღონისძიებების მიმდინარეობის გაცნობის მიზნით; ექსპერტთა საკონსულტაციო თათბირი პრაღაში (ჩეხეთი) ბიოუსაფრთხოების საკითხებზე; მომხსენებელი: პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და სამხრეთ კორეის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტისა და სამხრეთ კორეის იონამას უნივერსიტეტის ერთობლივი ექსპედიცია; საერთაშორისო სიმპოზიუმი ნუტრიციოლოგიაში; ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული რეგიონული კომისიის 28-ე კონფერენცია; აკადემიის მონაწილეობა მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალში - საქართველო-2018; სამეცნიერო კონფერენცია "საქართველოში მეცხოველეობისა და ვეტერინარიის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები"; ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლუდონგის უნივერსიტეტის დელეგაციის სტუმრობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში; მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის - საქართველო-2018-ის ფარგლებში საჯარო ლექცია თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მოსაწვლეებისათვის ლექტორები დოქტორები მარინა ბარვენაშვილი და რევაზ ლოლიშვილი;

**"აკადემიის მაცნეს" მეოთხე ნომერში გაშუქდა მეოთხე კვარტალში ჩატარებული ღონისძიებები.** კერძოდ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს; ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელი; მომხსენებელი: აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია; სასოფლო-სამეურნეო ელექტრომომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედობა; მომხსენებელი: აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე; განათლებისა და მეცნიერების სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საპატიო სიგელებით დაჯილდოვების შესახებ; ქ. პეკინში ჩატარებული რეგიონალური კონსულტაციის შესახებ, CABI აზია და წყნარი ოკეანის ქვეყნების თანამშრომლობის შესახებ; მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; მრგვალი მაგიდა ავსტრიელი მეცნიერების მონაწილეობით, საერთაშორისო პროექტი "აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობების გაზრდისათვის გარემოსდაცვით სწავლებაში"; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ინოვაციური ტექნოლოგიები მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და გადამუშავებაში" ვინიცის (უკრაინა) ეროვნული

აგრარული უნივერსიტეტი; მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა მიძღვნილი მეცნიერების მსოფლიო დღისადმი; მრგვალი მაგიდა სურსათის რისკის შეფასების საკითხებზე გერმანელი მეცნიერების მონაწილეობით; სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ნიადაგის დაცვის საერთაშორისო დღისადმი; მრგვალი მაგიდა: "საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი და წარმატებული ინოვაციური პროექტების პრეზენტაცია".

**სულ "აკადემიის მაცნეს" ფურცლებზე გაშუქდა 46 სხვასხვა საკითხი და ღონისძიება.**

## ინფორმაცია
## აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2019 წლის 28 მარტს მოისმინა ინფორმაცია „აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ." **მომხსენებლები:** აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" მთავარი რედაქტორი, აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" პასუხისმგებელი რედაქტორი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

აღინიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე" გამოდის 1992 წლიდან. მის გამოცემაში 2016 წელს მნიშვნელოვანი და რადიკალური ცვლილებები შევიდა. იგი გარდაიქმნა საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ, რეფერირებულ სამეცნიერო შრომათა კრებულად.

ამისათვის:

1. მომზადდა და დამტკიცდა საგაგნებო დებულება (2016 წლის 11 იანვარს);
2. „მოამბის" საქმიანობას საფუძვლად დაედო საერთაშორისო სტანდარტები;
3. გაფორმდა ხელშეკრულება ელექტრონულ ბიბლიოთეკა „ივერიელთან" „მოამბის" საერთაშორისო ბაზებში გასავრცელებლად, ციფრულ კოლექციაში შეტანის საშუალებით;
4. გაფორმდა ხელშეკრულება სტამბასთან „დეგაპრინტი", რომელიც ბეჭდავს „მოამბეს";
5. „მოამბე" გამოიცემა წელიწადში ორჯერ;
6. „მოამბის" 3 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია ეგზავნება პარლამენტის ბიბლიოთეკას, 1 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია „ტექინფორმს";
7. შეიქმნა და დამტკიცდა სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო და საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგია.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერე-ბათა აკადემიის აკადემიკოსები და 7 ქვეყნის 15 გამოჩენილი მეცნიერი. საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა შემდეგია: გ.ალექსიძე-მთავარი რედაქტორი, გ.ჯაფარიძე-მთავარი რედაქტორის მოადგილე, ო.ქეშელაშვილი-პასუხისმგებელი რედაქტორი, ე.შაფაქიძე-წევრი, ა.გიორგაძე-წევრი.

8. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავდა სტანდარტული რეფერატის ნიმუში, მოთხოვნები სამეცნიერო შრომათა კრებულისა და დასაბეჭდად წარმოსადგენი სტატიების მიმართ.

**ძირითადი მოთხოვნები „მოამბის" მიმართ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შემდეგია:**

1. დაცული უნდა იყოს გამოცემის რეგულარობა ანუ უნდა იყოს პერიოდული გამოცემა და რეგისტრირებული უნდა იყოს აშშ საერთაშორისო ცენტრში; მინიჭებული უნდა ჰქონდეს „უაკ".
2. დაცული უნდა იყოს სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის გეოგრაფია (საბჭოში უნდა შედიოდნენ მეცნიერები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან);
3. სტატიებს უნდა გააჩნდეს მეცნიერული ღირებულება. უნდა იყოს კითხვადი (სტილისტურად დახვეწილი, მეცნიერულად და ენობრივად რედაქტირებული);
4. სამეცნიერო სტატიას უნდა ახლდეს მკაფიო რეფერატი ქართულ (ორიგინალის) და ინგლისურ ენებზე;
5. რადგანაც საერთაშორისო ბაზები (ჭოშ და შცოპუს) ინგლისრენოვანია, ამიტომ, სამეცნიერო პუბლიკაციის შინაარსობრივი ინფორმაცია: სტატიის სათაური, რეფერატი, საკვანძო სიტყვები, ავტორის სამეცნიერო ხარისხი, წოდება და სხვ. წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.
6. რეფერატი უნდა გადმოსცემდეს სამუშაოს (სამეცნიერო ნაშრომის) შინარსს და გასაგები უნდა იყოს მკი-თხველისათვის, თვით პუბლიკაციის წაკითხვის გარეშე. იგი არ უნდა შეიცავდეს ისეთ მასალას რაც არ არის პუბლიკაციის ძირითად ტექსტში;
7. ინგლისურენოვანი რეფერატი ერთადერთი წყაროა, რომლის მიხედვითაც უცხოელი სპეციალისტი აფასებს ქართველი მეცნიერის პუბლიკაციას, იყენებს თავის პუბლიკაციაში, დისკუსიაში შედის ავტორთან და ა.შ.

„მოამბეს", საერთაშორისო გავრცელების თვალსაზრისით აქვს 3 წვდომა: 1) აისახება ელექტრონულ ბიბლიოთეკა „ივერიელში"; 2) ვრცელდება პარლამენტის ბიბლიოთეკის მიერ; 3) აისახება „ტექინფორის" რეფერირებულ ჟურნალში. ამავე დროს აისახება აკადემიის ვებ-გვერდზე.

„მოამბეში" შემოღებულია რუბრიკები (განყო-

ფილებები) სოფლის მეურნეობის ცალკეული მიმართულებების მიხედვით, აგრეთვე სპეციალური რუბრიკები.

2018 წელს გამოიცა 2 ნომერი. თითოეულ ნომერში საშუალოდ 55-60 ავტორის 25-27 სტატიაა გამოქვეყნებული.

„მოამბის“ საქმიანობა მიმდინარეობს წარმატებით, რასაც გარკვეული დადებითი წვლილი შეაქვს აკადემიის მუშაობაში.

## აკადემიის მიერ 2018 წელს გამოცემული რეკომენდაციების, აგროწესების, ინსტრუქციების, ბუკლეტების, ბროშურების და სხვა ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო-საინფორმაციო გამოცემების მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2019 წლის 28 მარტს მოისმინა ინფორმაცია „აკადემიის მიერ 2018 წელს გამოცემული რეკომენდაციების, აგროწესების, ინსტრუქციების, ბუკლეტების, ბროშურების და სხვა ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო-საინფორმაციო გამოცემების მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.“ **მომხსენებლები**: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე.

აღინიშნა, რომ 2018 წელს აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მიერ მომზადებული და გამოცემული იქნა მცირე რაოდენობით (20-25 ცალი) პრაქტიკული ხასიათის 27 რეკომენდაცია, რომელიც მოიცავს სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა მიმართულებას. გამოცემული რეკომენდაციებია:

1. ხეხილოვან კულტურათა დარაიონება დასავლეთ საქართველოს მეხილეობის ზონების მიხედვით (რეკომენდაცია); ავტორი ი. ვასაძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2018 წელი;
2. ხეხილოვან კულტურათა დარაიონება აღმოსავლეთ საქართველოს მეხილეობის ზონების მიხედვით (რეკომენდაცია); ავტორი ი. ვასაძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2018 წელი;
3. ვაზის დაცვა მავნე ორგანიზმებისაგან (რეკომენდაცია); ავტორი გ. ალექსიძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2018 წელი;
4. ხეხილის ინტეგრირებული დაცვა მავნე ორგანიზმებისაგან (რეკომენდაცია); ავტორი გ. ალექსიძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2018 წელი;
5. სამარცვლე პარკოსანი კულტურების დაცვის სისტემა (რეკომენდაცია); ავტორი გ. ალექსიძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2018 წელი;
6. ციტრუსოვანი კულტურების ინტეგრირებული დაცვა (რეკომენდაცია); ავტორი გ. ალექსიძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2018 წელი;
7. კენკროვანი კულტურების ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა (რეკომენდაცია); ავტორი გ. ალექსიძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2018 წელი;
8. თავთავიანი კულტურების ინტეგრირებული დაცვის სისტემა (რეკომენდაცია); ავტორი გ. ალექსიძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2018 წელი;
9. ბოსტნეული კულტურების ინტეგრირებული დაცვა (რეკომენდაცია); ავტორი გ. ალექსიძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2018 წელი;
10. სიმინდის დაცვის სისტემა (რეკომენდაცია); ავტორი გ. ალექსიძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2018 წელი;
11. ბოცვრის სახორცე პროდუქტიულობა (რეკომენდაცია), ავტორი ჯ. გუგუშვილი, რედაქტორი ე. შაფაქიძე, 2018 წელი;
12. ბოცვრის სახორცე და ტყავ-ბეწვეული პროდუქტიულობა (რეკომენდაცია), ავტორი ჯ. გუგუშვილი, რედაქტორი ე. შაფაქიძე, 2018 წელი;
13. ბოცვრის ტყავ-ბეწვეულის მიღება და დამუშავება (რეკომენდაცია), ავტორი ჯ. გუგუშვილი, ქ. ჭიპაშვილი; რედაქტორი ე. შაფაქიძე, 2018 წელი;
14. ძმარმჟავა-ნატრიუმის მარილის (ნატრიუმის აცეტატი) გამოყენება მსხვილფეხა რქოსანი ცხოველის კვებაში (რეკომენდაცია), ავტორი გიორგი კოზმანიშვილი, რედაქტორი ე. შაფაქიძე, 2018 წელი;
15. ნიადაგდამამუშავებელი აგრეგატების დაკომპლექტება და ნომინალური სამუშაო რეჟიმების განსაზღვრა; ავტორები ე. შაფაქიძე, გ. მოსაშვილი, რ. ჯაფარიძე, თბილისი, გამომც. “აგრო”, 2018 წელი, 27 გვ.
16. გრეიპფრუტი (Citrus paradise) სასარგებლო ციტრუსოვანი კულტურა (რეკომენდაცია), ავტორები რ. ჯაბნიძე შ. ლამპარაძე ნ. ჯაბნიძე ლ. გორგილაძე გ. ჯაბნიძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე, თბილისი, 2018.
17. სამკურნალო ციტრუსოვნები - ციტრო, პომპელმუსი, ლაიმი (რეკომენდაცია), ავტორები რ. ჯაბნიძე შ. ლამპარაძე ნ. ჯაბნიძე ლ. გორგილაძე გ. ჯაბნიძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე, თბილისი, 2018.
18. ჩვეულებრივი წაბლი (Castacea sativa) (რეკომენდაცია), ავტორები რ. ჯაბნიძე, შ. ლამპარაძე, ნ. ჯაბნიძე, ლ. გორგილაძე, გ. ჯაბნიძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე, თბილისი, 2018.
19. სიმინდის კულტურა საქართველოში, მისი გე-

ნეტიკა-სელექციის და მეთესლეობის შედეგები, პერსპექტივები (ბროშურა), ავტორები-ო. ლიპარტელიანი, ფ. ბეგოიძე, ლ. ქირიკაშვილი, ბ. ლიპარტელიანი; რედაქტორი ე. შაფაქიძე, თბილისი, 2018;

20. ფსტა (Pistacia Vera) კაკლოვანი მაღალშემოსავლიანი კულტურა (რეკომენდაციები), ავტორები - რ. ჯაბნიძე, ნ. ჯაბნიძე, დ. ჯაში, ნ. ალასანია, გ. ჯაბნიძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე, თბილისი, 2018.
21. სოიას (სოიოს) კულტურა მოვლა-მოყვანის აგროტექნიკა, ავტორი გ. მარგველაშვილი, რედაქტორი ე. შაფაქიძე, თბილისი, 2018.
22. ჯიშთაშორის შეჯვარების თეორია მებოცვრეობაში (რეკომენდაცია), ავტორი ჯ. გუგუშვილი, რედაქტორი ე. შაფაქიძე, თბილისი, 2018.
23. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიები (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და გაზეთ "საქართველო და მსოფლიო" ს ერთობლივი პროექტის "ფერმერთა სკოლის" მასალები), მასალა შეაგროვა და წარმოადგინა აკად. გ. მარგველაშვილმა, რედაქტორები 24. გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, ნ.ქარქაშაძე, ე. შაფაქიძე, ა. გიორგაძე, გამომცემლობა "აგრო", თბილისი, 2018 წელი, 168 გვ.
25. ცხოველების სამკურნალწამლო საშუალებებისა და მათი გამოყენების შესახებ (ვეტექიმის დასახმარებლად), ავტორები ჯ. გუგუშვილი, მ. ლომინეიშვილი, რედაქტორი ე. შაფაქიძე, თბილისი, 2018;
26. ატმის სელექცია საქართველოში (მონოგრაფია), ავტორი აკად. ვაჟა კვალიაშვილი, რედაქტორები გ. ალექსიძე, ელგუჯა შაფაქიძე, რეცენზენტი იუზა ვასაძე, თბილისი, 2018 წელი, 169 გვ.
27. თუთის ფოთლის გამოყენება ბოცვრის საკვებად (რეკომენდაცია); ავტორები გ. ნიკოლეიშვილი, ჯ. გუგუშვილი, რედაქტორი ე. შაფაქიძე, თბილისი, გამომც. "აგრო", თბილისი, 2018;

ზემოთ აღნიშნული 25 რეკომენდაციის ავტორები ბრძანდებიან აკადემიის წევრები (აკადემიკოსები, წევრ-კორესპონდენტები), ხოლო დანარჩენი რეკომენდაციების ავტორებია აკადემიის კოორდინატორები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციები შედგენილია სოფლის მეურნეობის ისეთი დარგებისათვის, რომლებიც გარკვეული პრობლემებით ხასიათდება, მაგ ფაროსანასგან სას. სამ. კულტურების დაცვა. (8 რეკომენდაცია, ავტორი აკად. გ. ალექსიძე), მეცხოველეობაში (7 რეკომენდაცია, ავტორი აკად. ჯ. გუგუშვილი და სხვა), მეხილეობაში (ავტორები აკად. ი. ვასაძე, აკად. რ. ჯაბნიძე და სხვა), აგროინჟინერიაში, მარცვლვან კულტურებში და ა.შ.

როგორც აღინიშნა, აკადემიაში გამოცემულ რეკომენდაციებს პრაქტიკული გამოყენება არა აქვთ ტირაჟის ძალიან მცირე რაოდენობის გამო, იგი ცნობილია მხოლოდ აკადემიის თამნამშრომლებისათვის და სტუმრებისათვის (კონფერენციებისა, მრგვალი მაგიდების და სემინარების დროს, გამოფენილია აკადემიის საგამოფენო სტენდებზე და ა. შ.). ტირაჟის სიმცირის გამო მას სტუმრებსაც ვერ ვურიგებთ, არა თუ რაიონების ფერმერებს.

აკადემიას გააჩნია მცირე მოცულობის სტამბა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე საბეჭდი ტექნიკით, მაგრამ იგი არა არის დატვირთული. სტამბას შეუძლია თავისუფლად დაბეჭდოს რეკომენდაციები 100-100 ცალის ტირაჟით და მომორანდუმის საფუძველზე გადაუგზავნოს ისინი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონების საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებში დასარიგებლად, თუმცა ამისათვის საჭიროა დამატებითი დაფინანსება.

## ინფორმაცია აკადემიის ეროვნული კოორდინატორების მიერ 2018 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შედეგებისა და 2019 წლის ამოცანების შესახებ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2019 წლის 28 მარტს მოისმინა ინფორმაცია აკადემიის ეროვნული კოორდინატორების მიერ 2018 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შედეგებისა და 2019 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი**: აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე.

აღინიშნა, რომ 2013 წლიდან, აკადემიის პრეზიდენტის, აკად. გურამ ალექსიძის ინიციატივით აკადემიაში დაარსებულია ეროვნული კოორდინატორების ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებს ეროვნული კოორდინატორების 5 დარგობრივ ჯგუფს.

სულ აკადემიაში გაერთიანებულია 39 ეროვნული კოორდინატორი, მათ შორის 24 აკადემიის წევრი და 15 სხვა ორგანიზაციაში დასაქმებული სპეციალისტი, ხოლო დარგობრივ ჯგუფებში გაერთიანებულია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სპეციალობის 195 წევრი.

ეროვნული კოორდინატორები თავიანთ მუშაობას წარმართავენ აკადემიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. საანგარიშო 2018 წელს მათ მიერ ჩატარებულია 3 სხდომა (მათ შორის 2 გამსვლელი სხდომა), სადაც ძირითადად განიხილებოდა სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები.

2018 წლის 27 ივნისს გაიმართა აკადემიაში ფუნქციონირებადი ეროვნული კოორდინატორების აკადემიის პეზიდიუმის წევრებთან შეხვედრა, რომლის მიზანი იყო ეროვნული კოორდინატორების ხედვებისა და სამომავლო პერსპექტივებზე მსჯელობა, მაგრამ შეხვედრამ ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება, ვინაიდან კოორდინატორების მიერ არ იყო გამოთქმული ყველა ის მოსაზრება, თუ როგორ უნდა წარმართოს მუშაობა კოორდინატორების ინსტიტუტმა, როგორ ესახებათ მათ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ფერმერებთან და სპეციალისტებთან შემდგომი საქმიანობა, არ გამოუთქვამთ ადგილებზე (რაიონებში, სოფლებში) მათთან შეხვედრის სურვილი, არა აქვთ მომზადებული საკითხების თემატიკა, დისკუსიის თემა.

იშვიათი გამონაკლისების გარდა, კოორდინატორები არ ეწევიან ყველა იმ ახალ აგროტექნოლოგიების და სხვა ღონისძიებების პროპაგანდას, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევდა ფერმერებს მათ საქმიანობაში.

ეროვნული კოორდინატორების მიერ აკადემიაში წარმოდგენილია მათი წინადადებები კონკრეტული დარგის სამომავლო პერსპექტივების შესახებ და უნდა ითქვს, რომ ყველა წინადადება არის მეცნიერულ და პროფესიულ დონეზე წარმოდგენილი, მაგრამ იქვე არ არის გამოთქმული მათი მოსაზრება, თუ რა გზებით არის შესაძლებელი წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა.

შეხვედრაზე გაიჟღერა საკითხმა, რომ ფინანსების გარეშე შეუძლებელია მივლინებებში სიარული და შეხვედრების ჩატარება ადგილობრივ ფერმერებთან. საჭიროა მეტი კონტაქტები რაიონების საინფორმაციო--საკონსულტაციო ცენტრებთან, რისთვისაც უნდა დამყარდეს მჭიდრო კავშირები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის განყოფილებებთან, რათა მათ აიყვანონ კონტროლზე შეხვედრების გრაფიკები და შესრულების მიმდინარეობა.

დაისვა საკითხი აკადემიის ეროვნული კოორდინატორების მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა ჩატარდეს ერთობლივი შეხვედრა აკადემიისა და სამინისტროს სპეციალისტებს შორის, რათა მოხდეს მჭიდრო კოორდინირება ამ ორ უწყებას შორის ფერმერებთან სოფლის მეურნეობის საკითხების თანამედროვე მეცნიერულ და პრაქტიკულ დონეზე გადაწყვეტისათვის.

## მეცნიერ ქალთა საერთაშორისო დღე

2019 წლის 11 თებერვალს, ისტორიაში მეორედ აღინიშნა მეცნიერ ქალთა დღე. 2015 წლის დეკემბერში, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ რეზოლუცია მიიღო, რომლის თანახმადაც, 11 თებერვალი „მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღედ“ გამოცხადდა. ამ დღეს, გაერო მსოფლიოს სახელმწიფოებს, ყველა ადამიანს და ორგანიზაციას მოუწოდებს, მეცნიერებასა და განათლებაში ხელი შეუწყონ ქალების თანასწორ განვითარებას. „გაერო“ იმედოვნებს, რომ მეცნიერებაში სქესთა შორის განსხვავება აღმოიფხვრება და იგი ახალგაზრდა ქალებისთვის მეტად ხელმისაწვდომი გახდება.

2019 წლის 11 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მეცნიერ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შეხვედრა მოუწყო საქართველოში მოღვაწე ახალგაზრდა ქალ მეცნიერებს, რომლებსაც აგრარული მიმართულებით გარკვეული სამეცნიერო წარმატებები აქვთ და მოღვაწეობენ საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებში.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ, რომელმაც საზოგადოებას მოახსენა გაეროს მიერ დაწესებული მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღის მნიშვნელობა, ქალი მეცნიერების ღვაწლზე მსოფლიო სამეცნიერო ცხოვრებაში და განსაკუთრებით საქართველოში მოღვაწე ქალ მეცნიერებზე, რომლებსაც დიდი წარმატებები აქვთ სამეცნიერო საქმიანობაში და განსაკუთრებით აგრარული მიმართულებების დარგებში. მან ხაზი გაუსვა ახალგაზრდა ქალი მეცნიერების სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას, მათ ინტეგრაციას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოსთან, შესთავაზა ურთიერთ თანამშრომლობა და აღუთქვა მათ აკადემიის მზაობა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში.

შეხვედრაზე აკად. გ. ჯაფარიძემ „მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით აკადემიის საპატიო სიგელით დააჯილდოვა საქართველოში აგრარული მიმართულებით მოღვაწე ქალი მეცნიერები:

1. **გოგინაშვილი ნანა** - სოფლის მეურნეობის დოქტორი, სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი;
2. **წყარუაშვილი ზოია** - აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის ლაბორატორიის მკვლევარი;
3. **კაციტაძე ეკატერინე** - ტექნიკის დოქტორი, სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების კვლევის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
4. **მახარობლიძე მაკა** - სოფლის მეურნეობის დოქტორი;
5. **ხოსიტაშვილი მარიამი** - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, კვების მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკის აკ. წულუკიძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის დეკანი;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

21. **მებონია ნინო** - ტექნიკის დოქტორი, საქარ-

საქართველოს
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2018 წლის პრემია
აგრარულ დარგში საუკეთესო ნაშრომებისათვის

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა თავისი გადაწყვეტილებით (ოქმი #2, 22 თებერვალი, 2019 წელი) დაამტკიცა კონკურსის შედეგები აგრარულ დარგში ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომებისათვის აკადემიის 2018 წლის პრემიების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2018 წლის პრემია აგრარულ დარგში საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომებისათვის მიენიჭათ:

1. 0101-აგრონომია - „სუბტროპიკული კულტურები“ - სახელმძღვანელო, ავტორი რეზო ჯაბნიძე;
2. 0103-მეცხოველეობა - „სათიბ-საძოვრების მცენარეთა ატლასი“ - გამოყენებითი ხასიათის ნაშრომი, ავტორი იოსებ სარჯველაძე;
3. 0104 სასურსათო ტექნოლოგია- „სურსათის უვნებლობა“ - სახელმძღვანელო, ავტორი ქეთევან ლაფერაშვილი;
4. 0105-სატყეო საქმე, „აჭარის ტყის იშვიათი სახეობების ინვენტარიზაციის მასალები“- გამოყენებითი ხასიათის ნაშრომი, ავტორები ნანა გოგინაშვილი, ირინა თვაური, ზურაბ მანველიძე;
5. 020305-აგრობიზნესის მენეჯმენტი „მენეჯერული ეკონომიკა“ - სახელმძღვანელო, ავტორები ეთერი ხარაიშვილი, მარინა ჩავლეიშვილი, ნინო დამენია, ცირა მიქატაძე;
6. 0415-აგროინჟინერია „მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლუატაცია“ ,სახელმძღვანელო, ავტორები ზაურ ფუტკარაძე, რომან მარგალიტაძე, მერაბ მამულაძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ულოცავს აკადემიის 2018 წლის პრემიის ლაურეატებს ამ მეტად საპატიო ჯილდოს და უსურვებს მრავალ წარმატებებს სამეცნიერო საქმიანობაში.

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს გურამ ალექსიძის ვიზიტი ინდოეთში

მიმდინარე წლის 11-14 თებერვალს ქალაქ ჯოდპურში (ინდოეთი) ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ მშრალი რეგიონების განვითარების” შედეგების შესახებ.

კონფერენცია მიეძღვნა მშრალი რეგიონების განვითარების საკითხებს, კონფერენციის საერთო ლოზუნგი იყო „გადავაქციოთ რუხი გარემო მწვანედ“, რომლის ორგანიზატორი იყო საერთაშორისო მშრალი რეგიონების განვითარების კომისია ინდოეთის არიდული ზონის კვლევის ასოციაციასთან ერთად. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების 200-მდე მეცნიერმა, მათ შორის საერთაშორისო კვლევების ცენტრის ოთხმა გენერალურმა დირექტორმა, ინდოეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა, კვლევითი ორგანიზაციების დირექტორებმა, ცნობილმა მეცნიერებმა (პროფესორები ზელტაგი, პაროდა, სერგელდინი, სონგჰი, იადაგი და სხვა) . კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ, მის მიერ გაკეთებულმა მოხსენებამ „კლიმატის ცვლილება და მისი უარყოფითი მოქმედების შემცირების სტრატეგია ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც დადებითად იქნა შეფასებული კონფერენციის ხელმძღვანელის პროფესორ ადელ ელ ბელტაგიის მიერ. (იგი უკანასკნელი წლების მანძილზე იყო „იკარდას“ გენერალური დირექტორი და შემდეგ პე–

რიოდში ეგვიპტის სოფლის მეურნეობის მინისტრი).

აკადემიკოს გ. ალექსიძის მოხსენება ეხებოდა ყველა იმ ღონისძიებას, რაც ხორციელდება ყაზახეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კლიმატის უარყოფითი ცვლილებების თავიდან ასაცილებლად. აღსანიშნავია, რომ ყოველ ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებსაც დამუშავებული აქვს სტრატეგია თუ როგორ უნდა მოხდეს ამ უარყოფითი მოვლენების შერბილება. ესაა ძირითადად ისეთი კულტურების გავრცელება, რომლებიც მაღალი მედეგობით ხასიათდებიან მაღალი ტემპერატურის მიმართ, აგრეთვე კარგად იტანენ

თანამშრომლობას ქართველ სელექციონერებთან, ახალი გვალვაგამძლე და დაავადების მიმართ მედეგი ხორბლის ჯიშების გამოყვანისა და საქართველოს პირობებში გადასატანად, ასევე გააგრძელებენ მუშაობას სხვა ცენტრებშიც.

კონფერენციაზე მიღებული იყო დეკლარაცია, სადაც გაწერილი იქნა კონკრეტული რეკომენდაციები მშრალი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგარარული ინოვაციების კომისიის სხდომა

მიმდინარე წლის 6 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა აგარარული ინოვაციების კომისიის სხდომა, რომელიც ეხებოდა **"საქართველოს სატყეო რეფორმებსა და მათი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის პრობლემებს".** (მომხსენებელი: ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი: თანამომხსენებლები: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი თეიმურაზ კანდელაკი; ექსპერტი, კანონპროექტის ავტორთა ჯგუფის წარმომადგენელი მერაბ დვალი).

სხდომას ესწრებოდნენ აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე, აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ექსპერტი აგრარული და რეგიონული მართვის საკითხებში გოჩა ცოფურაშვილი, აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი და მოწვეული სტუმრები, რომელთა შორის იყვნენ აკადემიის აკადემიკოსები, სატყეო საქმის მეცნიერ-სპეციალისტები, სტუდენტები და დარგით დაინტერესებული პირები. მას შემდეგ, რაც აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ალექსანდრე დიდებულიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი, სხდომას შესავალი სიტყვით მიმართა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისათვის და აღნიშნა, რომ აგრარული ინოვაციების კომისიის ჩამოყალიბება ეს ახალი ფორმატია აკადემიის მუშაობაში და მისი ძირითადი ამოცანაა: პირველი, მოხდეს სოფლის მეურნეობაში ინოვაციურ პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციათა, მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ დამუშავებული მნიშვნელოვანი საკითხების ინვენტარიზაცია, რომლის შემდეგ ისინი შესაბამისი ფორმით - რეკომენდაციების სახით წარდგენილი იქნებიან მთავრობაში და დაკავშირებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა მეცნიერებაში.

აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გ. ალექსიძის შესავალი სიტყვის დასრულების შემდეგ, სიტყვა მოხსენებისათვის გადაეცა ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილეს ნათია იორდანიშვილს, რომელმაც ფართოდ ისაუბრა ყველა იმ პრობლემაზე და მათი გადაჭრის

ლებმა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორმა თეიმურაზ კანდელაკიმა, ექსპერტმა, მერაბ დვალმა და აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ, რის შემდეგ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მოეწყო კონსტრუქციული დიალოგი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

სხდომა შეაჯამა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მან

# საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ფიტოსანიტარული მეთოდების შესახებ

სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, თბილისში 11–14 მარტს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ფიტოსანიტარულ მეთოდებს. კონფერენციის მუშობაში მონაწილეობას ღებულობდნენ მსოფლიოს 26 ქვეყნის მეცნიერები, რომელთა შორის არიან ევროპის წამყვანი ქვეყნების, აზიის, აშშ-ს, რუსეთის, ავსტრალიის, ასევე ქართული სამეცნიერო წრეების, დარგობრივი გაერთიანებების წარმომადგენლები და სახელმწიფო რწმუნებულები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან კონფერენციაზე მიწვეულნი იყვნენ აკადემიის პრეზიდენტი, აკდემიკოსი გ. ალექსიძე, პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ა.გიორგაძე, აკადემიკოსები ჯ.გუგუშვილი და გ.მარგველაშვილი, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი მ. ბარვენაშვილი.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აზიური ფაროსანა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის მნიშვნელოვანი გამოწვევაა და სახელმწიფო აქტიურად არის ჩართული მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში.

კონფერენციაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ქართველი მეცნიერების წარმატებულ გამოცდილებას და მავნებლის გასანადგურებლად გატარებული ღონისძიებებისა და მეთოდების განიხილვას. კონფერენციის ფარგლებში შემუშავდება სტრატეგიული დოკუმენტი, რომელსაც მოგვიანებით განიხილავენ რომში გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგა-

ნიზაციის ფიტ
სხდომაზე.

კონფერენც
მიერ გაჟღერდა
აზიური ფარო
დაგეგმილი ღო
იყო ის წარ
დაგროვდა ქა

## შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელმძღვანელები სტუმრად აკადემიაში

2019 წლის 19 მარტს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას სტუმრობდნენ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ზვიად გაბისონია და დირექტორის მოადგილე ჯაბა სამუშია. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გურამ ალექსიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები და აკადემიის წარმომადგენლები.

შეხვედრა გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა ფონდის ხელმძღვანელები და ხაზი გაუსვა ამ შეხვედრის მნიშვნელობას, ვინაიდან აკადემიის წევრები აქტიურად მონაწილეობენ ფონდის მიერ გამოცხადებულ საკონკურსო პროექტებში და რაც მთავარია 2013 წლიდან აკადემიის ყველა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ტარდებოდა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, რაც აკადემიისთვის მეტად მნიშვნელოვანი თანამშრომლობის მკაფიო მაგალითია.

ფონდის დირექტორმა თავის პრეზენტაციაში დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მეცნიერების მიმართულებით დაგეგმილი ცვლილებები, ისაუბრა ფონდის ახალპროექტებზე, ინიციატივებსა და 2019 წელს განსახორციელებელ გეგმებზე. მომხსენებელმა აკადემიის წევრებს გააცნო ფონდის სამომავლო გეგმები და აღნიშნა, რომ ფონდის მოშაობაში ერთ-ერთი ღირსეული ადგილი უნდა დაიკავონ არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებებში. შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს ფონდსა და აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებსა და სამომავლო გეგმებზე.

## აგრარული ინოვაციების კომისიის მორიგი სხდომა

2019 წლის 20 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნირებათა აკადემიაში ჩატარდა აგრარული ინოვაციების კომისიის სხდომა, რომელზეც მოხსენებით: „საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი: ახალი ბაზრების ათვისება" წარსდგა ივ. ჯავახისვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ- ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის აგრარული პოლიტიკის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, დოქტორი ფატიმა მამარდაშვილი.

მოხსენებაში ასახული იყო საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ტენდენციები და გააანალიზებული იყო კონკრენტული სასურსათო პროდუქტების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა, რაც გამოვლენილი იქნა შედარებითი უპირატესობის მეთოდოლოგიით. წარმოდგენილია რეკომენდაციები ამ მიმართულებით პოლიტიკის ღონისძიებებისა და სამომავლო კვლევების საჭიროების შესახებ.

სხდომას კომისიის წევრთა გარდა ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სამინისტროში შემავალი სტრუქტურების წარმომადგენლები, აკადემიის წევრები, მოწვეული პირები „საქპატენტიდან" და „ტექინფორმიდან", უნივერსიტეტების პროფესორები, მკვლევარები და და მაგისტრანტები. სიტყვით გამოვიდნენ აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი,აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, კომისიის თავმჯდომრის მოადგილე, ექსპერტი აგრარული და რეგიონული მართვის საკითხებში გოჩა ცოფურაშვილი, აკადემიკოსი პაატა კოღუაშვილი, აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ე.შაფაქიძე, აკად. ნ. ბაღათურია, საქპატენტის გამოგონებების და ახალი ჯიშების დეპარტამენტის უფროსი მერაბ კუცია, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე არჩილ ბუკია, სამინისტროს სამეცნიერო-კცლევითი ცენტრის მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი ცოტნე სამადაშვილი, სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამსახურის უფროსი, დოქტორი ნიკოლოზ კიკნაველიძე და სხვები, რომლებმაც გამოთქვეს საინტერესო წინადადებები და მადლობა გადაუხადეს მომხსენებელს საინტერესო მოხსენებისათვის.

კომისიის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ალექსანდრე დიდებულიძემ თავის დასკვნით გამოსვლაში აღნიშნა აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული პოლიტიკის კვლევით ცენტრს შორის კონტაქტების გაღრმავების პერსპექტივებზე, საგარეო ბაზარზე ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის ცნობადობის და ღირებულების ამაღლების, ახალი ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების საერთაშორისო რეგისტრაციის გაგრძელების აუცილებლობაზე.

სხდომამ მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

2019 წლის პირველ კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 23 საკითხი. მათ შორის:

ინფორმაცია "საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატების არჩევის დროებითი დებულების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატების ვაკანსიების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე;

ინფორმაცია აკადემიის 2018 წლის ფინანსური საქმიანობისა და 2019 წლის ბიუჯეტის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე, მთავარი ბუღალტერი ნინო სოზიაშვილი;** აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ანგარიში 2018 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2019 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე; აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი;**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე;** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მოწვევის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე;** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებული "2018 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომების გამოსავლენი კონკურსის" შედეგების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე ;** საქართველოს პარლამენტის აპარატთან გაფორმებული მემორანდუმით გათვალისწინებული თანამშრომლობის შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.**

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობა ზემდგომ ორგანოებს.

| | |
|---|---|
| *გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი:* | *საქართველოს სსოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი,* ***აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე*** |
| *გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე:* | *სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი,* ***სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე*** |
| *გაზეთ "აკადემიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი:* | *სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი,* ***ტექნიკის დოქტორი გივი მოსაშვილი*** |

**"აკადემიის მაცნე" - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" დამატება. "News of Academy "- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.**